ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 51
სამშაბათი 12 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 51
სამშაბათი 12 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის—8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.
ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. **ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$ $1^{1}/_{2}$ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჭაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—$1^{1}/_{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^{1}/_{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის ხაზინისათვის.

საბედნიეროდ, დღეს ყველას გაგებული და შეგნებული აქვს, თუ რაოდენ უბადრუკია ჩვეულებრივი „ჩინოვნიკის“ ჭკუა-გონება. მისი გონებრივი ჰხედველობა კანცელარიასა, „ეხოდია-შჩი-ვიხოდიაშჩი“ „ჟურნალსა“ და თვის ოც რიცხვს იქით აღარ მიდის. მთელი ქვეყანა და საქვეყნო საქმეები მისთვის კანცელარიის ოთხის კედლით განისაზღვრება და მისი გონებაც მხოლოდ იმასა სწვდება, რაც აქ დაიწერება და „ჟურნალში“ ჩაინიშნება.

თითოეულ „საქმის“ დასაწყისად, თითოეულ ქაღალდში აღნიშნულ საგნის სათავედა და წყაროდ მას ის პირი და ის დაწესებულება მიაჩნია, საიდანაც ქაღალდი შემოსულა და მის „ჟურნალში“ ნომერ-დასმული ჩაწერილა. ყოველ თვის ოცი რიცხვისთვის იგი ადგენს „მოთხოვნის ვედომოსტს“, გზავნის სახელმწიფო ბანკში ან ხაზინის განყოფილებაში და იღებს იქიდან თავის ჯამაგირს. მიღებული ფული, რასაკვირველია, ხაზინიდან მიღებულად იწერება კანცელარიის „ჟურნალში“. და ჩვენი ჩინოვნიკიც შეურყევლად დარწმუნებულია, რომ მისი მარჩენალი და სულის ჩამდგმელი სახელმწიფო ბანკი ან ხაზინის განყოფილება არის, რომელიც მას დანიშნულ ვადაზე ჯამაგირს უგზავნის და ამგვარად ცხოვრების სალსარს აძლევს. ჩინოვნიკი თავს არ იტკივებს იმის კვლევა-ძიებით, თუ საიდან მოდის ეს ფული ხაზინაში ან ვისი შრომითა და ოფლით არის იგი მონაგარი.

რასაკვირველია, ასეთი აზრი და შემეცნება უბრალო ჩინოვნიკს არ ეპატიება, რადგან გონების დამხშველ ბიუროკრატიულ ატმოსფერაში აღზრდილს მეტი ცოდნა და შეგნება არ მოეთხოვება. მაგრამ უფრო სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ ასეთი ჩინოვნიკისებური შეხედულება საზოგადოებაშიაც არის გავრცელებული და რუსულ პრესსაშიაც არა ერთხელ ყოფილა გამოთქმული.

მართალია, პრესსა ისე ბავშვურად ვერ გამოსთქვამს რაიმე აზრს, როგორც ვინმე უვიცი ჩინოვნიკი, და ვერ იტყვის, რომ ის ფული, რომელსაც სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებანი ხარჯვენ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო საქმეებზე, ხაზინისაგან არის შექმნილი ან მოგებული. რაც უნდა უსწავლელი იყოს რომელიმე მეგაზეთე, ეს მაინც იცის, რომ ხაზინას მხოლოდ იმის დახარჯვა შეუძლია, რასაც ხალხი აძლევს, და რომ ხაზინის ქონება ხალხისაგან აღებულ გადასახადებით არის შეგროვებული.

ვიმეორებთ, ამას უარს ვერ ჰყოფს ვერც ერთი რუსის ,,პატრიოტი‘‘ და ამიტომ კავკასიის შესახებაც არ ამბობენ, რომ კავკასიას რუსეთის ხაზინა არჩენსო და კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯებს მხოლოდ ხაზინის კასსა ჰფარავსო. იმათაც იციან, რა თქმა უნდა, რომ კავკასიელიც იხდის სხვადასხვა გადასახადებს და თავისი წვლილი შეაქვს ხაზინის სალაროში.

მაგრამ ისინი გვეუბნებიან, რომ კავკასიიდან აღებული შემოსავალი კავკასიისავე სადმინისტრაციო ხარჯებს არა ჰფარავს, ხაზინას უხდება თავის მხრით დამატება და ეს კი რუსეთის ხალხისაგან არის ხარკის სახით აღებული და ამგვარად კავკასიის გულისთვის რუსეთის ხალხს უწევს მსხვერპლის გაღებაო. კავკასიელებს ჩვენ, რუსები, გაძლევთ საშუალებას თქვენი საზოგადოებრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლად, ასე რომ კავკასია რუსეთისათვის საზარალოა და არა რაიმე მოგებისა და სარგებლობის მომცემიო.

ჩვენს საზოგადოებაშიაც შეიძლება იყვნენ ისეთები, რომელნიც სწორედ ასე ფიქრობენ და ჰგონიათ, რომ კავკასია რუსეთისათვის ეკონომიურად საზარალოა და რომ ჩვენ ჩვენი თავის შესანახად რუსებისაგან გვიხდება ღონისძიების სესხება.

ჩვენ გვინდა ერთხელ და სამუდამოდ დავამტკიცოთ ამ აზრის უსაფუძვლობა და მკითხველს აშკარად დავანახვოთ, რომ ასეთი ფიქრი ყოველ საბუთსა და საფუძველს მოკლებულია.

კავკასია არა თუ ზარალს არ აძლევს ხაზინას,—პირიქით, იგი შემოსავლისა და საზოგადოდ ეკონომიურ სარგებლობის მხრით უმსუქნესი ნაჭერია მთელს რუსეთის იმპერიაში. ამას ამტკიცებს ის ციფრები, რომელიც მოქცეულია მთავრობის ოფიციალურ გამოცემებში.

შემდეგს წერილებში ჩვენ დაწვრილებით აღვნიშნავთ ამ ციფრებს და მათს მნიშვნელობას ყოველ მხრივ გავარკვევთ.

* * *

რკინის გზაზე მატარებელთა მიმოსვლის აღდგენა.

ბ-ნ ნამესტნიკის თანაშემწის გენერალ მალამასაგან დანიშნულმა კომისიამ, რკინის გზის მოსამსახურეთა წარმომადგენლების თანადასწრებით, ამა წლის 7, 8 და 9 აპრილს განიხილა ჩვენი მოთხოვნის უმთავრესი მუხლები მოსამსახურეთა ქონებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაძლოდ სცნო იშუამდგომლოს ერთ დროებით დახმარების მისაცემად, ყველა მოსამსახურე პირთათვის გამოითხოვოს 133,000 მანათი, ჩვეულებრივ, სააღდგომო ჯილდოს გარდა. გაფიცვისათვის არავინ არ უნდა დაისაჯოს, დატუსაღებულები უნდა განთავისუფლონ. კაზაკებს აეკრძალოს ხალხის ცემა-ტყეპა. დანარჩენ მუხლების შესახებ კომისიას კიდევ ცალკე ექმნება მოლაპარაკება. სადგურებმა: ბაქომ, განჯამ, ხაშურმა და სამტრედიამ, კომისიის თხოვნით, უნდა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები თათბირში მონაწილეობის მისაღებად. ამის შემდეგ ჩვენ, ტფილისში მოსამსახურე პირებმა, გადავწყვიტეთ შევუდგეთ ისევე მუშაობას და ჩვენ დანარჩენ ამხანაგებსაც ვსთხოვოთ იგივე.

მემანქანეების წარმომადგენლები: ღოღიძე და პერვასი. კონდუქტორების: ქავთარაძე, ვიტაშჩევი და მატარებლების შემდგენელთა—გაბუნია.

* * *

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

8 აპრილი.

ვენა, 8 აპრილი. „ნოიე-ფრეიე-პრესსე“ ამტკიცებს: კრიტოსის კრების გარდაწყვეტილება კრიტოსის საბერძნეთთან შეერთების შესახებ პლატონიური დემონსტრაცია არისო. სახელმწიფოები ამას გულგრილად ვერ შეხედავენ. მშვიდობიანობის დასაცველად კუნძულზე ჯარები ბლომად არის.

რომი, 9 აპრილი. სენატმა 109 ხმით, 8 ხმის წინააღმდეგ, მიიღო რკინის გზების ხაზინაში გადასვლის კანონი

ბელგრადი, 9 აპრილი. მეფის მდივანმა ნენადოვიჩმა სამსახურს თავი დაანება.

ვარშავა, 9 აპრილი. გუშინ საღამოს ლოდოვის პოლკის მთვრალი ჯარისკაცი კრასავნიკოვი, ნახევრად ჩაცმული, თოფით ქუჩაში გამოვარდა და გამვლელ-გამომვლელ ტყვს სროლა დაუწყო. ერთი ხელოსანი მოჰკლა და დასჭრა ორი ურია, პატარა გოგო, პოლიციელი, ჯარის-კაცი და ფელდფებელი. სადარაჯო რაზმი და პოლიცია უკან მისდევდა, მაგრამ ახლოს მისვლას ვერა ბედავდა. ერთი ურია უკანიდან ეცა კრასავნიკოვს, წააქცია და თოფი წაართვა. დაჭრილია 6, მოკლულია ერთი.

ბათუმი, 7 აპრილი. საღამოზე ტფილისიდან მოვიდა მხოლოდ ერთი სახალხო მატარებელი, რომელსაც მემანქანე გზაში მოუკლეს. ბზიოს ქარხანაში ჯარის კაცები სცდიან ვაგონებს და ტვირთავენ გემებს. ვაჭრობა დაეცა. უცხო ქვეყნის გემები მიდიან.

პეტერბურგი, 9 აპრილი. გაზეთების სიტყვით, დაარსდა სრულიად რუსეთის ჟურნალისტების კავშირი, რომელიც შესდგება 74 სატახტო ქალაქებისა და პროვინციის გამოცემათა წარმომადგენლებისაგან რუსულ, პოლონურ, ლატიშურ, სომხურ და ესტონურ ენებზე.

ბელგრადი. მეფის მდივნის ბიძაშვილი ნენადოვიჩი სასახლეს სტოვებს და ბელგრადიდან მიდის. მისს დათხოვნას პაშიჩის ჯგუფებს აწერენ, რადგანაც ნენადოვიჩი მეფის ალექსანდრე ობრენოვიჩისა და დრაგა დედოფლის მკვლელთა მეთაურად ითვლება და სულია მთავრობის საწინააღმდეგო ყოველგვარ ინტრიგისა.

ლონდონი. პარიზიდან იუწყებიან სარწმუნო წყაროებიდან, რომ დელკასეს მდგომარეობა ძლიერ შერყეულა. ასახელებენ ფრესინეს, როგორც გარეშე საქმეთა მომავალ მინისტრს--დელკასეს მოადგილეს.

პარიზი. დელკასე ოფიციალურად გადადგა სამსახურიდან. რუვიემ იხმო იგი და სთხოვა, —უარჰყავ სამსახურიდან გადადგომის განზრახვაო. დელკასე შეჰპირდა, გადაწყვეტილ პასუხს ხვალ გეტყვიო.

ლონდონი, 8 აპრილი. ყველა ინგლისური გაზეთები დელკასეს დიდად აფასებენ და აქებენ.

პარიზი. პალატის სხდომის დროს სოციალისტი ჟორესი უეცრივ უქაიფოდ შეიქმნა იმ დროს, როცა სიტყვას ამბობდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების შესახებ. კამათი დროებით შესწყდა.

პეკინი. რუსეთის ელჩი ლესსარი გარდაიცვალა.

პარიზი. პრესსაში დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია დელკასეს სამსახურიდან გადადგომამ. მისი სამსახურიდან გადადგომა იმან გამოიწვია, რომ დანარჩენ ამხანაგებში ვერ შესთანხმდა მაროკოს ინციდენტის თაობაზე, აგრეთვე იმანაც, რომ ამ უკანასკნელ ხანს პრესსა ცუდად იხსენიებდა,--ვერ არის ენერგიის პატრონი კაციო და სხვ.—დღეს ვალანი შეეკითხება მთავრობას საფრანგეთის ნეიტრალიტეტის დაცვის თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დელკასე ისევ დარჩება გარეშე საქმეთა მინისტრად.

ლონდონი. რუსეთმა დაჰკარგა ერთი უნიჭიერესი და სახელგანთქმული დიპლომატი, რომელიც კარგად იცნობდა აზიის პოლიტიკას ჩინეთსა და ცენტრალურს აზიაში. ლესსარი მომხრე იყო მტკიცე და ბეჯითის პოლიტიკისა; მას გულწრფელად სწამდა,—რუსეთის მოწოდება ის არისო, რომ აზიაში გაბატონებულ სახელმწიფოდ გახდეს, მაგრამ ამასთანავე იმდენად გამოცდილი სახელმწიფო კაცი იყო, რომ კარგად ესმოდა და აფასებდა სიფრთხილესა და მოთმინებას.

მოსკოვი. გაზეთების თანამშრომლებმა წარადგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომ დაწესდეს გადაჭრილი ფასი თითო სტრიქონში 7 კაპ., მოისპოს კვირა-უქმე დღეებში მუშაობა და მიეცეთ ჰონორარი (გასამრჯელო) იმ წერილებშიაც, რომელიც სტამბაში აწყობინეს და რაიმე მიზეზის გამო გაზეთებში კი ვერ დაიბეჭდა, მაგალითად: ცენზორის დაჭრილი, რედაქტორისაგან ამოღებული ან კორექტორებისაგან წაშლილი.

ყაზანი, 9 აპრილი. სამოსამართლო პალატაში ხალხის დაუსწრებლად გაირჩა საქმე ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტად ნამყოფის ლეონიდ კოლტოვასი, რომელსაც აკრძალულ ლიტერატურის გავრცელება ჰბრალდებოდა. კოლტოვს მიუსაჯეს 8 თვით ციხეში ცალკე კამერაში დაპატიმრება. ბრალდებულს სასჯელში ჩაეთვლება ის დრო, რომელიც საქმის გარჩევამდე გაატარა სატუსაღოში.

10 აპრილი.

ლონდონი, 9 აპრილი. ბევრი გაზეთი, მათ რიცხვში ,,ტაიმსი‘‘ და ,,დეილი გრაფი‘‘-იც, დელკასეს სამსახურიდან გადადგომის მიზეზად გერმანიას ასახელებენ და აცხადებენ,—ეს გარემოება საშიშია ევროპაში მშვიდობიანობის დაცვისთვისაო.

რომი. ყველა რკინის გზებზე მატარებელთა მიმოსვლა განახლდა.

ვენა, 9 აპრილი. ,,ნოიე ფრეიე პრესსე‘‘-მ ათინიდან ცნობა მიიღო,—იტალიის ჯარები კასტელში შევიდნენო. კრიტოსის დეპუტატები დღეს საღამოს შეიკრიბებიან, რომ მოილაპარაკონ და საბოლოოდ გადასწყვიტონ კრიტოსის საბერძნეთთან შეერთების საქმე.

განჯა, 9 აპრილი. ოცი კაცი და მათ შორის ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მკვლელი, რომლებიც კატორღაში იგზავნებიან, დღეს უნდა გაეგზავნათ, მაგრამ მატარებლების მიმოსვლის შეჩერების გამო ვეღარ გაჰგზავნეს.

ტოკიო, 9 აპრილი (რეიტერი). მიკადომ აუდიენციაზე მიიღო მინისტრ-პრეზიდენტი კაცურა და გარეშე საქმეთა მინისტრი კომურა.

პარიზი, 9 აპრილი. დელონკლის შეკითხვაზე პალატაში რუვიემ უპასუხა: ერთხელვე განვაცხადე, რომ მთავრობას აზრადა აქვს ნეიტრალიტეტის დაცვა; ესლა შემიძლიან მხოლოდ განვიმეორო, რომ საფრანგეთის აგენტებს ინდო-ჩინეთში რამდენჯერმე გავუგზავნეთ ფორმალური ბრძანება საფრანგეთის ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებო.

ხარკოვი, 9 აპრილი. მომრიგებელ-მოსამართლემ გაარჩია ნოქარ მოსტოვოისა, მეეზოვე ნაზარენკოსი და ზუხრების მკეთებელ მაკონინის საქმე, რომლებიც დაეცნენ სტუდენტს გემანოვიჩს და ჰყვიროდნენ: ,,დაჰკა ამჯანყებლებს და სტუდენტებსაო‘‘, მომრიგებელმა მოსამართლემ მოსტოვოისა და მაკონინს გადაუწყვიტა ორის თვის ციხე და ნაზარენკოს — ორი კვირისა.

ტფილისი, 9 აპრილი. ,,ტიფლისკი ლისტოკის‘‘ მიერ 7 აპრილს გამოქვეყნებული ცნობა, ვითომ გზათა მინისტრის ბრძანებით გაფიცული მემანქანენი, თუ სამი საათის შემდეგ მუშაობას არ შეუდგნენ, მანჯურიაში იქმნებიან გაგზავნილნიო,—ტყუილია. ამნაირი განკარგულება არ ყოფილა.

პარიზი, 10 აპრილი. დელკასემ სამსახურიდან გადადგომის თხოვნა უკანვე წაიღო.

ირკუტსკი, 10 აპრილი, საშუალო სასწავლებლებში სწავლა წესიერად დასრულდა. მერვე კლასში გამოცდები დაიწყო.

პორტ-საიდი, 10 აპრილი. „დეილის“ ცნობით, საფრანგეთის გემი „გალია“ და პორტუგალიის საკანონერო გემი «დიუ» ქვას დაეჯახნენ სუეცის არხში და ხელს უშლიან გემების მიმოსვლას.

პარიზი, 10 აპრილი. დიპლომატიურ წრეებსა და გაზეთებში აუცილებელ საჭიროდ სთვლიან, რომ დელკასეს შერჩენა გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა, ამიტომ ყველას იამა მისი გადაწყვეტილება, სამსახურში დარჩენის შესახებ.

ვარშავა, 10 აპრილი. სამინისტროსაგან მოვიდა ნებართვა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საბუთების მიცემა შეაჩერონ 1 ენკენისთვემდის.

კანეა, 10 აპრილი. პრინცმა გიორგიმ შეუთვალა დეპუტატებს სახელმწიფოების პასუხი, რომელიც ძველ გადაწყვეტილებას იმეორებს. ამიტომ დეპუტატები საქმის გამოსარკვევად პირდაპირ ხალხს მიჰმართავენ.

სოფია, 10 აპრილი. ზაგორიჩანში მომხდარ სისხლის ღვრით გამოწვეული აღელვება არ მოსპობილა, მაგრამ ზომიერების მომხრე ელემენტები თანდათან იმარჯვებენ. იმედი აქვთ, რომ მალე ბერძნების საწინააღმდეგოდ სასტიკ ზომების მიღება შეიქმნება საჭირო. დღევანდელი საპროტესტო კრებები აშკარად არ გაამართლებს ძალმომრეობას. ფიქრობენ, რომ ხელს აიღებენ ავსტრიის და რუსეთის სააგენტოების წინ დემონსტრაციის მოხდენაზედ.

იალტა, 10 აპრილი. რვა თათარი, რევოლვერებით და ხანჯლებით შეიარაღებული, თავს დაესხმია სოფლელ მანუილოვს. მანუილოვის სახლში მეოფებმა თოფის სროლით გააქციეს თათრები. მძიმედ არის დაჭრილი დიმიტრი მანუილოვი. გაგზავნილმა რაზმმა ვერ დაიჭირა თათრები,—ყველა მიმალულიყო დროზე.

ვენა. გოლუხოვსკი ვენეციაში 16 აპრილს შეხვდება ტიტტონის. ოფიციოზი გაზეთები ამაში უწინდელ მეგობრულ განწყობილების ნიშანსა ჰხედავენ. დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, კრიტის საქმეზე დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა უკვე მოილაპარაკესო, მაგრამ მაინც არ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ეს სახელმწიფოები დასთანხმდებიან კრიტის შეერთებას საბერძნეთთანო.

სტამბოლი. საფრანგეთის საელჩო ოფიციალურად აცნობინებს სულთანს უკანასკნელ ირადეს 60 მილიონიან სესხის შესახებ. ამას გარდა, გათავებულია საქმე რკინის გზისა და სამხედრო სესხების შესახებ.

ლონდონი, 10 აპრილი. დილის 2 საათზე დონკასტერსა და მატლოკში დიდი მიწის-ძვრა მოხდა. ამბობენ, არავინ არ დაღუპულა და დიდი ზიანიც არავის მისცემია ამ მიწის-ძვრის გამო.

განჯა რკინის გზის ბატალიონი ჩამოვიდა.

ბერლინი. განსაკუთრებული ელჩები 18 აპრილს ტატტენბახის მეთაურობით ტანჟერიდან ფეცში წავიდნენ. საფრანგეთი ამაოდ სცდილობს მიიმხროს მაროკოს მთავრობა. «კელნიშე ცეიტუნგი» სწერს, საფრანგეთთან მოლაპარაკება უსარგებლო და საშიშიც არისო, ვინაიდან გერმანიამ თუ გამოსთქვა რამე სურვილი, მის მიღწევასაც ეცდება უთუოდ და ამას, შეიძლება, უსიამოვნებაც მოჰყვესო. ამას გარდა, მადრიდის კონფერენციაზე დამსწრე სხვა სახელმწიფოებსაც შეუძლიათ იმავე სურვილების გამოცხადება, როგორიც გამოაცხადა გერმანიამ, ვინაიდან მათი ინტერესებიც არ არის უზრუნველყოფილი. ამიტომ მხოლოდ კონფერენციას შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტაო.

ლიბავა, 9 აპრილი. 8 აპრილს ღამით 17 სატელეგრაფო ბოძი გადახერხეს და რკინის გზის ლიანდაგზე დააწყეს. მუშებმა ბოძები თავისს დროზედ აიღეს და დილის მატარებელმა მშვიდობიანად გაიარა.

კიშინიოვი. გუბერნატორმა ხალხს მშვიდობიანობის აღსადგენად მოუწოდა და ნდობას დაჰპირდა. წესიერების დამრღვევთ სასტიკ დონის-ძიებათა მიღებით დაემუქრა.

ტვერი, 9 აპრილი. ,,საგუბერნიო უწყების‘‘ სიტყვით, მარტის გასულს დაბა მაკსტატიხაში (შეუიცკის მაზრა) ვალიბის გამკეთებელ ქარხნის მუშებმა არეულობა მოახდინეს იმის გამო, რომ ქარხნის პატრონებმა ჯამაგირების ერთი ნაწილი დაუჭირეს და სამუშაო დღეს მოუმატეს.

ჩერნიგოვი, 9 აპრილი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით მექარხნეთა და მეფაბრიკეთა კრება დაიწყო. კრებამ მუშათა საჭიროებანი საზოგადოდ უნდა გამოარკვიოს.

მოსკოვი, 9 აპრილი. უმაღლესს სასწავლებელთა წარმომადგენლების კრებამ გადასწყვიტა, შინაგან საქმეთა მინისტრს დეპუტაცია გაუგზავნოს. დეპუტაციაში არჩეულ იქმნენ: სამოსწავლო ოლქის მზრუნველი პროფ. შიპოვი, სტრუვე და თავ. ტრუბეცკოი. დეპუტაციამ უნდა იშუამდგომლოს, რომ მოსკოვში სრულიად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლების დელეგატთა კრება იქმნეს მოწვეული.

ვინდავა, 9 აპრილი, გაძლიერებულ დაცვის წესი შემოღებულ იქმნა.

პეტერბურგი, 9 აპრილი. ოფიციალური. დღეს ცარსკოე სელოში ხელმწიფემ აფიცრობა მიულოცა მიხეილისა და კონსტანტინეს სახელობის საარტილერიო სასწავლებლის იუნკრებს და სამსახურში ნაყოფიერი შრომა უსურვა. ხელმწიფე სწერს, რომ ისინი მამა-პაპათა და უფროს ამხანაგთა აღთქმისამებრ ივლიან და, როცა საჭირო იქმნება, ომში წასვლით სამშობლოს დიდს სამსახურს გაუწევენ.

პარიზი, 9 აპრილი. ლიმოჟში დაზარალებულ ჯარის-კაცთა და მუშათათვის დასარიგებლად პალატამ 20,000 ფრანკი გადასდო.

ოდესა, 9 აპრილი. გემთა საზოგადოებასა და მატროსთა შორის უთანხმოებაა იმის გამო, რომ სა-

ზოგადოება ჯამაგირს არ უმატებს.—გემთა მიმოსვლის სიზავსულო წესისამებრ, დღისით გემები ვერ წავიდნენ. საღამოს ჟამს საქმე მოგვარდა და გემებიც გავიდნენ. უწესოება არ მომხდარა.

ვილნა. ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ზულბინი, ხოლო მალეცკი და დაუგში ტომაშევსკის მოკვლაში დამნაშავედ იცნეს. მალეცკისა და დაუგშას კატორღა მიუსაჯათ—პირველს 15-ი, მეორეს—8 წლით.

პარიზი. პალატამ მიიღო პირველი ოთხი მუხლი სახელმწიფოსაგან ეკლესიის განცალკევების კანონ-პროექტისა და 2 მაისამდე კრება დაიხურა.

ოდესა, 9 აპრილი. რუსის საზოგადოების გემი «ჩიხაჩოვი» და ზოგიერთი სხვებიც, რადგან მატროსები არა ჰყავდათ, ზღვაში არ გასულან. გრადონაჩალნიკი სინჯავს ქალაქის დაწესებულებათა მოსამსახურეების სიას, კასის წიგნებს და საბუთებს.

კიევი, 10 აპრილი. გუბერნიის კომიტეტმა ერთხმად დაადგინა, 12 დეკემბრის ბრძანების ძალით, საერობო დაწესებულებაში შემოღებულ იქმნას ყველა წოდების არჩევნები.

პეტერბურგი, 10 აპრილი. შემოდგომაზე დანიშნულია ქვეითი ჯარისა და არტილერიის ჯარის კაცთა განმეორებით ვარჯიშობაზე მოწვევა. მოწვეულ იქმნებიან 1900, 1895, 1894 და 1899 წლების სათადარიგო ჯარის კაცნი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

9 აპრილი.

ლონდონი, 10 აპრილი. „ლაფანის სააგენტოს“ ცნობით, რუსეთის ესკადრას კამრანის ყურეში 50 გემი შეადგენდაო. ყოველ დღე მასთან მიდიოდნენ საფრანგეთისა და გერმანიის გემები და იქიდან საიგონისკენ მიემართებოდნენ. გემი „იერიდან“ სატრანსპორტო გემად მიჰყიდეს რუსეთს. 45,000 ტონი ნახშირი დამზადებულია საიგონში რუსებისათვის და ხუთ გემზე დატვირთული გაიგზავნება კამრანის ყურეში.

საიგონი. 10 აპრილს გუბერნატორის კანცელარიის უფროსმა დაათვალიერა 4 რუსის გემი, რომელიც იტვირთებოდა ნახშირით, და მხოლოდ იმდენი ნახშირი აღებინა, რამდენიც უახლოეს ნავთსადგურამდის მისასვლელად აუცილებლად იყო საჭირო.

ტოკიო, 10 აპრილი. ოფიციალური. ტუნგვაში მყოფი რაზმი იტყობინება, რუსების პატარა რაზმი ჯერ კიდევ არისო გაჩერებული ლაოლინმალუკუში, ტუნგვას ჩრდილოეთით ოცი მილის მანძილზე. რუსების 700 ცხენოსანმა ჯარის კაცმა 7 აპრილს სცადა იაპონელთა წინა რაზმებზე იერიშის მიტანა, მათ დამხმარე რაზმიც მოუვიდათ, მაგრამ უსაქმურად არიან გაჩერებულნი. დანარჩენ ადგილებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი, 10 აპრილი საფრანგეთის კანონები ნეიტრალიტეტის შესახებ ნებას აძლევენ იმდენ ქვა, ნახშირის მიცემის, რამდენიც უახლოეს ნავთსადგურში მისასვლელად არის საჭირო, და ამნაირი ნავთსადგური როჟესტვენსკისათვის არის ვლადივოსტოკი. ამიტომ, „ეკო დე პარის“ სიტყვით, საფრანგეთმა თვითონ დაარღვია თავის კანონები, როდესაც საიგონში ოთხ რუსის გემს აღუკრძალა ნახშირის აღება. გაზეთები არჩევენ სუემაცუს განცხადებას და შეუძლებლად მიაჩნიათ ნეიტრალიტეტის შესახები კანონები მაინცადამაინც იაპონიის სასარგებლოდ განვმარტოთ ყოველთვისო.

ტოკიო, 9 აპრილი (რეიტერი). ხმები დადის, პოსიეტის სრუტესთან რუსებს ჯარების ერთად თავის მოყრა უნდა, რომ ტუმენზე გადაიდეს და კორეას მიუახლოვდესო. მაგრამ ეს ხმები არ სჯერათ. ჰფიქრობენ, რუსებს უნდათ იაპონელებს ვლადივოსტოკისკენ გზა მოუჭრანო.

ვაშინგტონი, 8 აპრილი. იაპონიის ნოტა საფრანგეთის-მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ რუზველტს გაუგზავნეს.

ტოკიო, 9 აპრილი. საზღვაო უწყებამ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: როგორც დანამდვილებით ამბობენ, კამრანის ნავთ სადგურის გარედ დადის ორი კრეისერი. ერთი „დიმიტრი დონსკოი“-სა ჰგავს. მეორეს ორი აფრა და სამი მილი აქვსო. ორი სავაჭრო გემი ნავთსადგურის ჩრდილოეთის შესავალში სდგას. ხუთი ჯავშნიანი გემი ნავთსადგურში ღუზაზე დგასო. ორ ჯავშნიან გემს ადმირალის ბაირაღები აქვს. ექვსი სამხედრო გემი ნავთსადგურის სამხრეთის შესავალში სდგას ნავთსადგურის თავზე კვამლი შეუმჩნევიათ. ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი გემებს სწმენდავს, ნახშირით ტვირთავს, ნაღმებს ამზადებს, ზარბაზნებს ასუფთავებს და საომარ მასალას ამზადებსო.

პარიზი, 9 აპრილი, ხმებია, რუსეთის მთავრობამ როჟესტვენსკის ესკადრას იაპონიის პროტესტი აცნობაო. პალატის კორიდორებში ლაპარაკობდნენ, დელკასე გარეშე საქმეთა მინისტრად კვლავ დარჩებაო.

შანხაი. 9 აპრილი. ჩინეთის ზღვაში რუსეთის ფლოტის გამოჩენის გამო პრესა შეძრწუნებულია. საზოგადო აზრი ჩვენის სასარგებლოდაა. რუსეთის მოძულე გაზეთი „შანხაი-ტაიმს“-ი გუშინ ამართლებდა როჟესტვენსკის, რომელიც ანამის ნაპირებზე სდგას. ჩინეთის დიდი გაზეთები ამბობენ, ჩქარა დაჰკრავს საათი, როდესაც რუსეთი ხანგრძლივ დამარცხების შემდეგ ღირსეულად შურს იძიებსო.

გუნჯულინი, 9 აპრილი. მოხალისეებმა მოწინააღმდეგეს სოფელ ოლინცისა, ვანხეპუსა და ვახემუსკენ დაახევინეს. გამოირკვა, რომ მოწინააღმდეგენი ენერგიულად ვერ მოქმედებენ, რადგან მუკდენის ბრძოლის შემდეგ დაბნეულნი არიან.

პეტერბურგი, 9 აპრილი. შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

მანილა, იაპონიის კონსულს ეუწყა, უმთავრესი ძალა ტოგოსი ფორმოზას ჩრდილოეთად არისო.

ჰონკონგი. ბრიტანიის ესკადრა ისევ გაცხარებულს მუშაობაშია. ხმა დადის, რომ ეს ფლოტი დაუყოვნებლივ გაშლილ ზღვაში გავაო. 3 უცხოელ გემს ნავთსადგურიდან გასვლის ნება არ მისცეს, რადგანაც კონტრაბანდა მიჰქონდათ. ერთი მათგანი შეეცადა სქელ ნისლ-ბურუსის დროს გაპარულიყო, მაგრამ დროზე შეუტყვეს და დაიჭირეს.

„ბრონი“, რომელსაც იაპონელთათვის ცხენები მოჰყავს ავსტრალიიდან, პირდაპირ იაპონიაში წავა, ისე რომ ჰონკონგში არ გაჩერდება.

ტოკიო. ყველა ქალები და ბავშვები პესკადორის კუნძულებიდან ფორმოზას გადაიყვანეს; მოჯში, ფორმოზას კუნძულზე, მოელიან 400 ჯარის კაცს. ეს ღონისძიება შიშის გამო კი არ იქმნა მიღებული, არამედ ყოველ შემთხვევისათვის გასაფრთხილებლად.

პარიზი. ხმა დადის, იაპონიამ წარუდგინაო საფრანგეთის მთავრობას მტკიცე ნოტა, მაგრამ თავდაჭერილად შედგენილი. მინისტრები მსჯელობდნენ მაროკკოს საქმეებსა და ლიმოჟში მომხდარ ამბებზე, მაგრამ უმთავრესად კი სჯა-ბაასი ჰქონდათ რუსეთის ესკადრის კამრანის ნავთსადგურში დგომის თაობაზე. ყოველივე ღონისძიება მიიღეს ნეიტრალიტეტის დასაცველად. დელკასე ავადმყოფობისა გამო ვერ დაესწრო პალატაში მინისტრთა სხდომას. დელონკლი შეეკითხა რუვიეს,—რა ღონისძიება მიიღეთ საფრანგეთის ნეიტრალიტეტის დასაცველადაო. რუვიემ განაცხადა, ვერაფერს ვერ დავუმატებ იმას, რაც გასულ ოთხშაბათს განვაცხადეო. რუვიეს განცხადებას ტაშის ცემით მიეგებნენ.

რადგანაც შორეულაღმოსავლეთში მყოფ საფრანგეთის ესკადრის ზოგიერთი გემები შეუკეთებელია და ძლიერ საჭიროა კია, რომ ნაპირებზე ფიცხი თვალ-ყური ეჭიროთ, გადაწყვეტილია ამ ესკადრის გაძლიერება.

ტოკიო, 9 აპრილი. იაპონიის მთავარი საზღვაო შტაბი ირწმუნება,—როგორც თვალით მნახველი იუწყება, კამრანთან დაუნახავთ სამხედრო გემი „დიმიტრი დონსკოის“ ტიპისა და სამ-ანძიანი კრეისერი, რომელნიც გარე რეიდში მდგარან; უნახავთ აგრეთვე ორი სავაჭრო გემი, ნავთ-სადგურის ჩრდილოეთს შესავალის მახლობლად მდგომი, 5 ჯავშნიანი შიდა რეიდში; ორ ჯავშნოსანზე ამართული ყოფილა ადმირალის ალმები; იქვე გარე-რეიდში უნახავთ 6 სამხედრო გემი, ნავთსადგურის სამხეთ-შესავალთან მდგომი.

10 აპრილი.

გუნჯულინი, 10 აპრილი (საკ. კორესპ.). შუბლის ჯარში ცვლილება არაა. გამოქვეყნებულია მთავარ-სარდლის ბრძანება იმის შესახებ, თუ როგორის წესრიგით უნდა გადაიტანონ სურსათ-სანოვაგისა და სხვა ბარგის ურმები; ნაჩვენებია კაცი, ვისაც უნდა მიჰმართონ ამ შემთხვევაში; ეს კაცი განაგებს ბარგისა და სურსათ-სანოვაგის გადატან-გადმოტანის წესრიგს და პასუხის-მგებლობაც მასვე აქვს დაკისრებული. ეს ღონისძიება იმან გამოიწვია, რომ კვლავ აღარ განმეორდეს ის სამწუხარო ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მუკდენთან და ტელინთან უკანასკნელად უკან დაწევის დროს. კარგი დარები დადგა.

პარიზი, 9 აპრილი. საფრანგეთის-მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო იაპონიისაგან წარდგენილ პროტესტს ინგლისიც მხარს უჭერს.

ჰონკონგი, 9 აპრილი. აქ მდგომ ინგლისის სამხედრო გემების მეზღვაურები დიდს მუშაობაში არიან, დაზიანებულ გემებს აკეთებენ და ზღვაში დაუყოვნებლივ გასასვლელად ემზადებიან. აფიცრებსა და დაბალ მეზღვაურებს დასასვენებლად არ ანთავისუფლებენ. ვერფის მუშებს, რომელნიც სააღდგომო დღესასწაულებისათვის დაითხოვეს, უკანვე იწვევენ. რაც ძველი ზარბაზნები იყო გემებზე, გადმოიღეს და იმათ ნაცვლად ახლები დასდგეს.

ლონდონი, 8 აპრილი. ხელმწიფე იმპერატორმა ინგლისის გემ „ლაქს“-ის უფროსს კაპიტან ბატტის უბოძა ბრილიანტებით შეჭედილი ოქროს პორტსიგარი და მადლობა გამოუცხადა იმ დახმარების გამო, რომელიც მან აღმოუჩინა ჩემულპოში დაჭრილ რუსის აფიცრებსა და მდაბიო მეზღვაურთ.

ლონდონი, 9 აპრილი. აქ ჰფიქრობენ, რომ იაპონია სცდილობს ინგლისს-იაპონიის ხელშეკრულობის გაზვიადებას, მაგრამ ინგლისში ამას უყურებენ, როგორც უბრალო მუქარას. ინგლისმა კარგად იცის, რომ საფრანგეთს რუსეთში იმდენად დიდი ინტერესები აქვს, რომ არ შეუძლიან დახმარება არ გაუწიოს. ლანსდოუნმა პარიზში მხოლოდ განცხადება გაგზავნა, მოთხოვნილებანი კი არ წარუდგენია, რადგანაც დარწმუნებული არ არის, როჟესტვენსკიმ ნეიტრალიტეტი მართლა დაარღვია თუ არა. ფრანგულ კანონის ძალით, თუ ნაპირებს სამის მილის მოშორებით იყო, როჟესტვენსკის შეეძლო, რამდენიც უნდოდა, იმდენს ხანს დარჩენილიყო.

პარიზი, 10 აპრილი. „ჟურნალ დე-დება“-ში დაბეჭდილია ნაძვილ წყაროებიდან გაგონილი რუსების პასუხი ბარონ სუემატცუსადმი: ომის დროს ნეიტრალიტეტის წესების შეცვლა არ შეიძლებაო. იაპონიას, რომელსაც ჩემულპოსა და ჩიფუს ამბების შემდეგ ინგლისიდან კონტრაბანდა მუდამ მოსდიოდა, ნეიტრალიტეტის დარღვევაზე აღარაფერი ეთქმისო.

პარიზი, 9 აპრილი. მთავრობას ოფიციალურად შეატყობინეს, ბალტიის ესკადრა დღეს კამრანიდან გავიდა, თუმცა არ იციან, საით გაემგზავრაო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიის ახლი კრეისერი. ტოკიოდან „მორნინგ პოსტ‘‘-ს დეპეშით ატყობინებენ: კურეში მარტის დამდეგს დაამთავრეს ახალ ჯავშნიან კრეისერის შეიარაღება. კრეისერს 7000 ტონნა წყალ-რწყვა აქვს (რ. ს.).

როჟესტვენსკის ესკადრა და საფრანგეთი. როჟესტვენსკის ესკადა საფრანგეთის ნავთსადგურ—კამრანში გაჩერდა, სურსათი და ნახშირი აიღო, კარგად მოემზადა და ისევ ზღვაში გავიდა. ამის გამო იაპონიაში ერთი ალიაქოთი ატყდა, საფრანგეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვიაო იაპონიამ ამის გამო ოფიციალური პროტესტიც კი გამოაცხადა და მტკიცედ მოითხოვა, როჟესტვენსკის ესკადრა კამრანის ნავთსადგურიდან ეხლავე დაითხოვეთო. ესკადრა მართლა წავიდა, მაგრამ თავის საქმე მაინც გააკეთა. საქმე იქამდის მივიდა, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასემ სამსახურიდან გასვლაც ითხოვა, მაგრამ ბოლოს ისევ დარჩა. ლონდონში დარწმუნებულნი არიან, რომ ამის გამო შეიძლება საქმე ძალიან გამწვავდესო. ერთმა ინგლისელმა ადმირალმა ამის შესახებ ,,დეილ ტელეგრაფ‘‘-ში თავისი აზრი ასე გამოსთქვა: რუსეთის მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში ისეთია, ვითომ იქ საკუთარი ნავთსადგური ჰქონიაო, რადგან რუსეთის ესკადრა საფრანგეთის ნავთსადგურებშიაც ისე იქცევა, როგორც თავის სახლში. ეს საქმე ინგლისის ინტერესებსაც ეხება. ინგლისს დედამიწის პირზე აურეველი ნავთსადგურები აქვს და ამ საქმეზე ურიცხვ ფულსა ხარჯავს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, როცა მოპირდაპირე სახელმწიფო სანეიტრალო ნავთსადგურებით სარგებლობს და ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ნავთსადგურებზე აუარებელ ფულსა ვხარჯავთ, მოპირდაპირე კი—არაფერს (რ. ვ.).

ვლადივოსტოკის ესკადრა. „მატენ‘‘-ის სიტყვით, ვლადივოსტოკში მყოფ კრეისერებსა და ნაღმოსნებს ბრძანება მოუვიდათ, მზად იყავითო. როცა შეგატყობინოთ, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის დასახვედრად წადითო. რუსეთის საზღვაო მთავარ შტაბის აზრით, თუ როჟესტვენსკიმ მოახერხა და ტოგოს როგორმე ხელიდან გაუსხლტა, ორ კვირის შემდეგ ვლადივოსტოკში ავაო, მაგრამ ამავე შტაბს არა სჯერა, რომ ადმირალმა ტოგომ როჟესტვენსკი ხელიდან გაუშვას (რ.).

იაპონიის ფლოტი საბრძოლველად მზად არის „ჰავასის სააგენტოს“ ჩიფუდან ატყობინებენ: იაპონიის მთელი ფლოტი ამჟამად სამ რაზმად არის გაყოფილი. რამდენიმე მსწრაფლ-მავალი ნაღმოსანი და ხუთიოდე დაძველებული კრეისერი და ჯავშნოსანი ვლადივოსტოკს დარაჯობენ. რამდენიმე ნაღმოსანი, კრეისერი და ჯავშნოსანი სასებოსა და ხაკოდატეში სდგანან და იაპონიის ნავთსადგურებს იცავენ. ყველაზე უფრო დიდი და ძლიერი ესკადრა, თვითონ ადმირალ ტოგოს უფროსობით, ამჟამად კუნძულ ფორმოზას ნაპირებთან იმყოფება. რამდენიმე გემი სანახშირე ხაბაროს დარაჯობს. (რ. ვ.).

არა-ჩვეულებრივი განკარგულება. იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია: „1905 წ. 7 იანვარი, № 2. ვლადივოსტოკის საოლქო სასამართლოს მე-19 განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე ბოგდანოვი პორტ-არტურის საოლქო სასამართლოს მომრიგებელ მოსამართლედ ინიშნება“.

ბიუროკრატიისთვის არც დრო, არც სივრცე და არც ომი არსებობს! (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

ქუთაისი, 10 აპრილი. **რადგანაც თეატრში დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა, თავმჯდომარემ მოიმიზეზა, აივანი ჩამოინგრევაო და ხალხსა სთხოვა აივნებიდან გასულიყო. ხალხმა დიდი პროტესტი განაცხადა. კრება ორშაბათისთვის გადაიდო.**

ხუთი დღეა გაზეთები არ მიგვილია.

ახალი ამბავი

„პეტერ. ვედომ.“-ის სიტყვით, ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. **დ. ზ. მელიქიშვილი ტფილისის გუბერნატორად** ინიშნება; მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი—ტრაფიმოვი, რომელსაც თავ. გოლიცინის დროს კავკასიის საქმეებზე დიდი გავლენა ჰქონდა, ჩერნომორის გუბერნატორად ინიშნება; მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი, ტ. ს. პრიბილი და დ. ს. ს. უსტრუგოვი ავადმყოფობის გამო სამსახურს თავს ანებებენ და იმათ მაგივრად ინიშნებიან კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ს. გაკელი და საგუბერნიო საგლეხო

ფელეტონი

დაღესტნის ავ-კარგი.

დღეს, როდესაც მთელი რუსეთი და კერძოდ კავკასია ბობოქრობს, როგორც აზვირთებული ზღვა, დაღესტანი თითქო ასრულებს პოეტის სიტყვებს: шапку на брови надвинулъ и на вѣкъ затихъ,—გაჩუმებულია. რას მივაწეროთ ეს სიჩუმე? ნუ თუ დაღესტანი სრულიად ბედნიერია და მას არაფერი არ აწუხებს? ან იქნება, ისეა ილაჯ-გაწყვეტილი, რომ ხმის ამოღება არ ძალუძს? რომელი მოსაზრება არის მართალი ამ ორში, ამას დაღესტნის ყოფა-ცხოვრების გაცნობა დაგვანახვებს.

რუსეთმა უკვე მეთექვსმეტე საუკუნის დამლევში მიაქცია ყურადღება დაღესტანს და აღეძრა სურვილი მისი დაპყრობისა. მიზნად კი ეს სურვილი გაიხადა საქართველოს შემოერთების შემდეგ. აქედან დაიწყო ხანგრძლივი სისხლის ღვრა ლეკებსა და რუსეთის ჯარებს შორის. ეს სისხლის ღვრა დასრულდა 1859 წელს შამილის ტყვეობით. და დამყარდა დაღესტანში რუსეთის მართვა-გამგეობა.

რუსეთის მფარველობის დამკვიდრებამდის დაღესტანი პოლიტიკურისა და ეკონომიურის მხრივ იყოფებოდა ორ ნაწილად. ერთს, უფრო მცირე ნაწილს, შეადგენდა ზღვის პირი (კასპიის) და მეორეს, უფრო დიდს,—მთიული დაღესტანი.

ზღვის პირი დაღესტანი ხშირად იმყოფებოდა ჯერ არაბებისა და მერე სპარსეთის მფლობელობის ქვეშ. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ დაღესტნის ამ ნაწილში ხანები გაძლიერდნენ. მხოლოდ მათ არადროს არ ჰქონიათ ისეთი უფლებანი, როგორც სხვა აღმოსავლეთის მხრის ხანებს. მთიული დაღესტანი სრულიად თავისუფალი იყო, აქაურ მცხოვრებთ ყოველთვის თვალწინ უდგათ ბარის მცხოვრებთა მაგალითი, რის გამო ხშირად წინააღმდეგობას უწევდნენ ნამეტნავად თავ-გასულ ხანებს.

ხანების მართვა-გამგეობას მოჰყვა მცხოვრებლების ქონებრივი და უფლებრივი უთანასწორობა. მოიკიდა ფეხი უმაღლესმა წოდებამ—ბეგებმა. ხარისხის ბოძებისათანავე, ხანი მატერიალურადაც უზრუნველ ჰყოფდა ბეგს, სახელდობრ, რომელისამე სოფლის შემოსავლით. გაჩუქებული სოფელი ვალდებული ხდებოდა, ის ბეგარა, რომელიც უწინ ხანის კარზე მიჰქონდა, ბეგისათვის ეძლია. ბეგარის რაოდენობა არ იცვლებოდა,—იგივე რჩებოდა, ვინაიდან ხანი ბეგარას ამ სოფლიდან აღარ იღებდა. სოფლის შინაურ საქმეებში არც ხანი და არც ბეგი არ ერეოდა და მცხოვრების პიროვნებაც თავისუფალი იყო. რასაკვირველია, ხანებსა და ბეგებს დიდი სურვილი ჰქონდათ, სრულიად დაემონებინათ თავისი მეხარკეები, მაგრამ უკანასკნელნი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ, სანამდის ხანებს გარეგანი დახმარება არ აღმოუჩნდებოდათ. უმეტეს ნაწილად ხალხი იმარჯვებდა, მაგრამ, როდესაც ხანს წამოეხმარებოდა გარეშე ძალა, მაშინ იმარჯვებდა და ძალიანაც ავიწროებდა ხალხს. რუსეთის მფლობელობის დამკვიდრებამდის ასეთი გარეგანი დახმარება მხოლოდ დროებით მოევლინებოდა ხანებს და, როდესაც ეს ძალა გაჰქრებოდა, ხალხიც ხშირად თავის დაკარგულ უფლებებს ისევ იბრუნებდა.

მთიული დაღესტანი კი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, სრულიად თავისუფალი იყო და წოდებრივი განსხვავება მცხოვრებთა შორის არ არსებობდა: ყველანი სწორნი და თავისუფალნი იყვნენ და მიწა-წყალსაც საერთოდ ფლობდნენ.

მხოლოდ როდესაც რუსეთმა შემოდგა ფეხი დაღესტანში, იმ წამსვე უმაღლეს წოდების მხარე დაიკავა და, სადაც კი გავლენა მოიპოვა, ყველგან მოსპო ხალხის უფლებანი და სრულიად დაუმონა მცხოვრებნი თავის მიწა-წყლით მაღალ წოდებას. ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა, ვინაიდან ხანებისა და ბეგების თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა. უწინ მაღალ და დაბალ წოდებას შორის დამოკიდებულება განისაზღვრებოდა ჩვეულებითა და ადათებით, რომელთა ასრულებას ხალხი დარაჯად უდგა და მზად იყო თავისი უფლებანი იარაღით დაეცვა. ეხლა კი, როდესაც ბატონებს გვერდით რუსეთის ძლიერი მხედრობა ამოუდგა, ხალხმა ვეღარ შესძლო თავის უფლებების დაცვა და გამეფდა სრული უკანონობა და თვითნებობა. დადგა დრო, როდესაც ხანები აღარ ესაჭიროებოდა რუსეთის მთავრობას, რის გამო ფიცხლავ იქმნენ გადაყენებულნი და მათ მაგიერ ხალხის ბატონ-პატრონობა ჩაბარდა რუსის ჯარის მაიორებსა და კაპიტნებს. ბეგებს კი, რომელთაც სრული მორჩილება გამოუცხადეს ახალ მართვა-გამგეობას და უმეტეს ნაწილად ჩაერიცხენ რუსის მხედრობაში, შერჩათ ძალით მოპოვებული მამულები და დამონებული ხალხი—ყმებად.

ამნაირად, რუსეთის მართველობამ დაღესტანში შემოიტანა ბატონ-ყმობა ყველა თავის ნაკლულევანებით. როდესაც რუსეთში გლეხნი განთავისუფლეს, აქაც მოაღწია ტალღამ 1867 წელში და მიენიჭა ხალხს პირადი თავისუფლება, როგორც კავკასიის სხვა კუთხეებში. მხოლოდ ზოგიერთ ალაგას ბეგებს შერჩათ ძველი უფლებანი თავის ყმებზე, ასე რომ დაღესტანში დღესაც არიან ნამდვილი ყმები მათი რიცხვი, ადმინისტრაციის ანგარიშით, უდრის 27,000 სულს. ამ ყმების მდგომარეობა მით არის კიდევ უნუგეშო, რომ ბატონსა და ყმას შორის დამოკიდებულება არავითარ კანონით არაა განსაზღვრული.

დღეს-დღეობით დაღესტნის მკვიდრნი წოდებრივად ასე განიყოფებიან: თავად-აზნაურობა (ბეგები) რიცხვით—2403 სული ორივე სქესისა, გლეხობა, უმეტეს ნაწილად სახაზინო—562,028, სასულიერო წოდება (მაჰმადის სჯულისა)—1675 და ყმები—27,000.

ახლა გადავავლოთ თვალი, რანაირ ეკონომიურ მდგომარეობაში არის გლეხობა, რომელიც მცხოვრებთა დიდძალ უმრავლესობას—94$^{0}/_{0}$-ს შეადგენს.

გლეხის ყოფა-ცხოვრების უპირველეს საღსარს აქაც, როგორც ყველგან, მიწა შეადგენს, რომელიც აქ უმეტეს ნაწილად უნაყოფო არის და არც სახნავ-სათესად და არც საბალახოდ არ ვარგა. მთელ დაღესტანში მომცემიან მიწად, რომელიც დაბეგრილია ხაზინის სხვადასხვა გადასახადებით, ითვლება 1.311,524 დესეტინა. ამ რიცხვიდან 1.065,536 დესეტინა შეადგენს ხაზინის საკუთრებას, რომელზედაც გლეხები არიან დასახლებულნი და იხდიან განსაკუთრებულ საიჯარო ხარკს. დანარჩენი 245,918 დესეტინა კი კერძო საკუთრებად ითვლება. ამ რიცხვიდან მკვიდრთა საკუთრებას შეადგენს უმცირესი ნაწილი, უმეტესი კი ეკუთვნის ქალაქებს (თ.-ხ.-შურა, დარუბანდი და პეტროვსკი), მეჩეთებს, გადმოსახლებულთ და ზოგი კიდევ რუსეთის წარჩინებულ პირთ. მაგალ., ახლად დანიშნულ კავკასიის ნამესტნიკს აქ 2000 დესეტინაზე მეტი მამული აქვს.

თავის დროზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხის მხრივ ასე თითქმის მთელი მიწა-წყლის სახაზინოდ ჩარიცხვამ. გლეხებს განსაკუთრებით გული დასწყვა, ეგრედ წოდებულ „მიულკების“ ჩამორთმევამ. „მიულკს“ უწოდებენ აქ ისეთ ადგილს, რომელიც გლეხს ოდესმე გაუკაფია, გაუწმენდია, არხით წყალი მიუშვია ზედ და ამნაირად სრულიად უვარგისი მიწა ნაყოფიერად გარდაუქმნია. ადგილების შესახებ საჩივრებმა სამინისტრომდის მიაღწია და იქ შემდეგი გადაწყვეტილება დაადგინეს: „მაჰმადიანთა სჯულის იმ საზოგადო პრინციპის ძალით, რომ მიწა ეკუთვნის ღმერთსა და მიწაზე ღმერთის წარმომადგენელ ხალიფს, სამინისტრომ სცნო და დაადგინა, რომ ყველა მიწები, რომლებითაც სარგებლობდნენ სასოფლო საზოგადოებანი წინანდელ პოლიტიკურ მდებარეობის მხრით. უმეტეს ნაწილად მთიულ დაღესტანში ვენახის გასაშენებელ ადგილებს ხელოვნურად აკეთებენ: დაქანებულ მთის კალთებზე აყრიან ზურგით ატანილ იმდენ ნოყიერ მიწას და პატივს, რამდენიც საჭიროა, რომ ადგილი ვენახის დასარგავად გამოსადეგი შეიქმნეს. ხშირად ასე ხელოვნურად აშენებულ ვენახს სრულიად ანადგურებს მაღლობიდან წამოსული ნიაღვარი. საუკეთესო ვენახები გაშენებულია ზღვის პირად დარუბანდის ახლო-მახლო, მაგრამ ეს ვენახები მკვიდრთ თითქმის სრულიად ეცლებათ ხელიდან და გადადის ჩამოსახლებულთა ხელში. აქ ბლომად არის გაშენებული დიდი ზვრები, რომელნიც სხვადასხვა მოსულ პირთ ეკუთვნიან. მაგალითად, ძმ. თუმაევთა—158 დ. ვენახი აქვთ დარუბანდის ახლო, ახლად დანიშნულ ნამესტნიკს—108 დ., დეისტვ. სტ. სოვეტნ. კრივენკოს—100 დ. და სხვებს უფრო ნაკლები—10—20 დესიატინამდის, როგორც კაპიტან ვოლკოვს, აზნაურ გრიგორიევს, ვაჭრებს პაპაევებს და სხვებს. მთებში განთქმულია ყურძნის მოსავლით გიმრინის რაიონი, მაგრამ იქ ადგილის მდებარეობა არ უწყობს ხელს დიდი ზვრების გაშენებას.

ყურძნის მოსავალი, თუ კარგი წელიწადი დაესწრო, გვარიანი იცის, მაგრამ ვაზს აქაც უჩნდება სხვადასხვა ავადმყოფობა, ხალხი ვერ ახერხებს, უსაღსრობისა და უცოდინარობის გამო, სძლიოს ახალ-ახალი დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უშლიან ამ მეურნეობის დარგს, რის გამო მევენახეობა ეხლა ნაკლებ შემოსავალს აძლევს მკვიდრს.

დაღესტნელი, როგორც მაჰმადიანი, თვითონ არ ხმარობს ღვინოს და ამიტომ მთელი ყურძნის მოსავალი ბაზარზე გამოაქვს. აქციზის მოხელეების ანგარიშით, 1901 წელს მთელ დაღესტანში მოუწევიათ 858,400 ფუთი ყურძენი. აქედან მკვიდრთა საკუთრებას შეადგენდა 371,614 ფუთი. ფულზე რომ გადავიტანოთ და ვიანგარიშოთ ადგილზე ფუთი ყურძნის მაზანდა 60 კ.—არჩეული საჭმელი ყურძენი ფუთი 80 კაპ. იყიდებოდა,—212,963 მანეთს იზამს.

საინტერესოა ხალხის შემდეგი ჩვეულება მთებში: ყურძნის კრეფის დღე ინიშნება სოფლის მიერ და ამ დღემდის პატრონს არა თუ არ შეუძლიან გაჰყიდოს ყურძენი, არამედ ერთ კიმბალსაც ვერ მოსწყვეტს თავისთვის. ვინც ჩვეულებას დაარღვევს, სოფლის საზოგადოების სასარგებლოდ 10 მანათამდის ჯარიმა უნდა გადაიხადოს. აგრეთვე სანამდის ყურძენი არ მოიკრიფება, აკრძალულია არა თუ აშვებულ ძაღლების ყოლა, არამედ—დაბმულ ძაღლებისაც; ვისაც სურს, რომ დაბმული ძაღლი ჰყავდეს ეზოში, სოფლის სასარგებლოდ განსაზღვრული ჯარიმა უნდა იხადოს.

რამდენადაც ადგილ-მდებარეობის მხრით მოსახერხებელია, ხეხილის მოშენებასაც მისდევს აქაური მკვიდრი. განთქმულია გიმრინის ატამი, ანანასი და ბალი. თ.-ხ.-შურაში პატარ-პატარა ქარხნებიც არის, სადაც ხილიდგან ამზადებენ კონსერვებსა და ,,პიურეს‘‘ და ეზიდებიან სხვადასხვა ქალაქებში.

ერთის სიტყვით, დაღესტნელი მისდევს ყოველ გვარ მეურნეობის დარგს, რასაც კი ცოტათი მაინც ხელს უწყობს მიწის ნიადაგი, მაგრამ უცოდინარობის გამო ვერ გამოაქვს ის სარგებლობაც კი, რომლის მოტანა აქაურ მწირსა და მოუსავლიან მიწას შეუძლია.

დაღესტნელს დიდ შეღავათს აძლევს საქონლის მოვლა-მოშენება, განსაკუთრებით მეცხვარეობა, მაგრამ არც ეს საქმე სდგას სასურველ დონეზე. დიდ გაჭირვებაში აგდებს საქონლის მომშენებელს ის გარემოება, რომ საბალახო ადგილები შედარებით ცოტაა დაღესტანში და რაც არის, ისიც უთანასწოროდ არის განაწილებული სხვადასხვა ოლქებს შორის, რის გამო წეს-წყობილების დროს, ხაზინას ეკუთვნოდა და მცხოვრებთ მხოლოდ დროებით სახმარად ჰქონდათ მიცემული, და რომ ეს წესი რუსეთის მფლობელობის დამკვიდრების შემდეგაც დაცულ იქმნა‘‘. ამ სახით ხალხის მიწა-წყალი, თანახმად მაჰმადის კანონისა (!) სახაზინოდ ჩაირიცხა.

საერთოდ ზემო-აღნიშნული სახაზინო ადგილები, რომლებიც სოფლის საზოგადოებათა ხელშია, სარგებლობის მხრით შემდეგ-ნაირად იყოფა: ვენახები და ბაღები შეადგენს 2,414 დეს., სახნავ-სათესი—171,198 დ., სათიბი—56,184 დ., საბალახო—734,268 დ. და ბოლოს ტყე, საშეშე და ჩირგვნარი—101,472 დ. კერძო საკუთრების მიწები ასე ნაწილდება: ბაღები და ვენახები—1346 დეს., სახნავ სათესი—45,049 დ., სათიბი—11,340 დეს., საბალახო—166,828 დ. და ტყე—21,425 დესეტინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქმეთა საკრებულოს წევრი ბ-ნი ვეიდნებაუმი. დაჟინებით ამბობენ, რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი, რომელიც ამჟამად პეტერბურგში იმყოფება, თავის ეპარქიას აღარ დაუბრუნდებაო. აგრეთვე სამსახურს თავს ანებებს კავკასიის საეკლესიო სამრევლო სკოლების მეთვალ-ყურე დეკანოზი ვოსტორგოვიო.

◆ ხმა დადის, რომ პროტოიერეი **ვოსტორგოვი საბერძნეთში**, ათონის მისსიაში ინიშნებაო.

◆ როგორც ხმა დადის, კავკასიის **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ამ მოკლე ხანში პეტერბურგს მიემგზავრება, საიდანაც კავკასიაში აღარ დაბრუნდებაო.

◆ გუშინ, 11 აპრილს, ქალაქის **ქუჩების მომრწყველი მუშებიც გაიფიცნენ**.

◆ **გუშინ გაიფიცნენ** ტფილისის ყველა სასტუმროებისა და კერძო მცხოვრებთა **მზარეულნი და ხელზე მოსამსახურენი**, რიცხვით 7 ათას კაცამდე. ამათგან პოლიციამ ჯერ გუშინვე შეიპყრო 60 კაცი და თავთავიანთ სოფლებში დაგზავნა.

◆ პეითალს ლანგეს ნება მიეცა ქუთაისში ყოველ-დღიური რუსული გაზეთი „რიონ"-ი გამოსცეს. („რ. ვ.")

◆ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით «ნოვოე ობოზრენიეს» რედაქტორის გამომცემელს ბ-ნ ქალანთაროვს **ნება მიეცა გააფართოვოს თავის გაზეთის პრესსის მიმოხილვის განყოფილება** და გამოსცეს სურათებიანი დამატება.

◆ კვირას, 10 მარტს, ქალაქის საბჭოს დარბაზში **ჭლექის წინაალმდეგ მებრძოლ საზოგადოების პირველი კრება მოჰხდა**. კრებას 35 წევრი დაესწრო. თავმჯდომარედ ექიმი ხატისოვი იქმნა ამორჩეული, ხოლო მდივნად ექ. ზავრიევი. სხვადასხვა საგნებზე მსჯელობის შემდეგ დაადგინეს, ახალ საზოგადოებას სადგომი მოუპოვონ. აირჩიეს ახალი გამგეობა: ხატისოვი, ზავრიევი, ვესელოვზოროვი, მეხარინსკი, ლუკევიჩი, მარკევიჩი, უმიკაშვილი და ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად თ-დ. დავ. ალ. ბაგრატიონ-დავითიშვილს, სოფ. ფცაში, ვიღამაც სახლი გადაუწვა. მთავრობამ ამ სოფელში რამოდენიმე კაზაკი ჩააყენა აფიცრის უფროსობით. როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, გლეხების დასამშვიდებლად მოსული **კაზაკები შესულან თ-დ. ბაგრატიონის მარანში**, სადაც მას ბლომად ჰქონია, როგორც საზღვარ გარეთიდან გამოწერილი ძვირფასი ღვინოები, ისე შინაურიც, და სულ ერთიანად დაულევიათ. კაზაკები თურმე, კარგა ხანია, შესჩვევიან თავადის მარანს: ხუთ-ექვს საპალნიანი ქვევრი ჯერ დაუცლიათ, შემდეგ მიწით ამოუვსიათ. ზარალი ორმოც თუმანს აღემატებაო. ოქმი შეუდგენია.

◆ დღეს, 11 აპრილს, ქალაქის დეპუტაცია, ბ-ნ ვერმიშევის მეთაურობით **მიულოცავს გენერალ-ლეიტენანტ მალამას** მეფის მოადგილის თანაშემწედ დანიშვნას.

◆ უმაღლესს მთავრობის განკარგულებით, მთავარ-მართებლის კანცელარიას **ამიერიდან ეწოდა მეფის მოადგილის კანცელარია**.

◆ 10 აპრილს **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა სთხოვეს** ოლქის უფროსს, ფოსტის სადგურში ნება მოგვეციო **კერძო კრება გავმართოთ** ჩვენის მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლადო. ოლქის უფროსმა უპასუხა, ვიშუამდგომლებ სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ნება დაგრთონო. ამ დღეებში კრება მოხდება.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ მთავარ-კონტროლიორი ზაბაიკალის რკინის გზისა **იაროვიცკი** გადმოჰყავთ ამავე თანამდებობაზე ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.

◆ ხვალ, 12 აპრილს, უნდა **აკურთხონ საძირკველი იმ საავადმყოფოსი**, რომელიც შენდება ავლაბარში ბ-ნ არამიანცის ხარჯით.

◆ კავკასიის საავთიაქო მაღაზიაში მოსამსახურე ივანე ყორღანოვმა შემდეგი **ქაღალდი შეიტანა ქალაქის გამგეობაში**: 8 აპრილს, ღამით, როდესაც შინ ვბრუნდებოდი, ელისაბედის ქუჩაზე, ალექსანდრე-ნეველის ტაძრის მახლობლად, მეეტლეს დავუძახე. ამ დროს მე და ჩემს ამხანაგ ვოლერმოს თავს წამოგვადგა ორი შეიარაღებული კაზაკ-რუსი. ამოიღეს ხანჯლები, აქეთ-იქიდან **დამადგნენ**, მეუბნებოდნენ „ბუნტოვჩიკი ხარ, მოგკლავთ, შე სალიონოო'" და თან ჯიბეებს მიჩხრეკავდნენ, ვითომდა იარაღის წასართმევადაო. კაზაკებს ჯიბიდან ამოუცლიათ 15 მან. ოქროს ფული და 80 კაპ., შემდეგ აუგლეჯიათ ოქროს ძეწკვიანი საათი, გაუხდიათ პალტო, პიჯაკი და ასე ქუჩაში მიუტოვებიათ. ამის შემდეგ ყორღანოვი პოლიციაში წასულა, იქ ყოველივე ეს უამბნია და ოქმიც შეუდგენიათ. ნათხოვარი ტანისამოსი ჩაუცვამს და ისე მისულა სახლში. („ცნ. ფურ").

◆ „ბირ. ვედ." ნამდვილ წყაროებიდან გაუგია, რომ ამ ახლო მომავალში პეტერბურგიდან რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში გაიგზავნება განსაკუთრებული სამხედრო მსაჯულნი. ეს ზომა იმითი არის გამოწვეული, რომ რუსეთის განაპირა ადგილებში არეულობა დაიწყო. სამხედრო მსაჯულნი **უმეტესად კავკასიასა და პოლონეთში გაიგზავნებიან**.

◆ ავჭალაში წასულმა ქალაქის ხმოსანთაგან შემდგარმა კომისიამ ავჭალელებს დაავალა—ამოირჩიონ ხუთი კაცი და გამოჰგზავნონ ტფილისში **საბჭოსთან ერთად მათის საჩივრის განსახილველად**. ეს საჩივარი შეეხება იმ მიწის ნაჭერს, რომელსაც გლეხები თავისს ნადელად სთვლიან და ქალაქს კი იქ წყალსაყვანი გაუშენებია.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი და ინჟენერ მექანიკოსი კრასოვსკი ნაალდგომევს მიდიან ბათუმის მხარეს **ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის ჩასაბარებლად**, რომელიც ამათ ხელში გადმოდის.

◆ კრედიტის უქონლობისა გამო ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ განკარგულება მოახდინა—**დროებით შეჩერებულ იქმნას ყოველივე შუამდგომლობა** ფოსტა-ტელეგრაფის კონტორების დახმარების შესახებ.

◆ როგორც გვატყობინებენ, ქალაქ **ორიოლის საავადმყოფოში** შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილთა შორის ორი დაჭრილი **ქართველი ჯარის კაციც იმყოფება**. ერთი მათგანი არის სოფელ ვაქირის (სიღნაღის მაზრაა) მცხოვრები, **სანდრო გიორგის ძე კორინთლიშვილი** და მეორე ბასალეთის საზოგადოების სოფელ ვარევანის (ახალქალაქის მაზრაა) მცხოვრები **გაბო დიმიტრის ძე მელიქაძე**. ამათ რამდენიმე წერილი გაუგზავნიათ მშობლებისთვის, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. ჰფიქრობენ, წერილები იკარგებაო. დაჭრილები ახლა კარგად არიან და სააღდგომოდ ან საკვირაცხოვლოდ სამშობლოში დაბრუნდებიანო.

◆ სართიჭალიდან გვატყობინებენ, რომ 7 აპრილს, ოცი შეიარაღებული პატარძეულელი გლეხი თავს დასცემია მუღანლოს მცხოვრების რატუმ-ახვერდი-ოღლის ცხვრის ფარას, რომელიც თავ. ჩოლოყაშვილის ადგილ „ბალდოში" მდგარა, და თან წაუყვანიათ მწყემსები და ოთხი ხარი, რომელიც გლეხებმა ნაპარევად ჩასთვალეს.

◆ გუშინ რიყეზე ელექტრონის ვაგონი დაეჯახა ფურგონს და სულ მთლად დალეწა.

◆ დაბა ბორჯომში ვიღაც უცნობმა დანით დასჭრა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი მალინოვსკი და ტყეში დაიმალა.

◆ 7 აპრილს, შუადღისას, მერვე უბანში, რიყეზე, მელიქ-ფარსადანოვის ეზოდან მტკვარში უცაბედათ გადავარდა 8 წლის ბავშვი ნიკოლოზ შპოხინი და დაირჩო. გვამი ვერ იპოვეს.

◆ გუშინ, 10 აპრილს, აბასაბათის მოედანზე მოლნისის ეკკლესიის გალავანში, ოსმალეთის ქვეშევრდომმა მარკარ ბეკოიანცმა რევოლვერით მოჰკლა ოსმალეთის ქვეშევრდომივე მარტიროს გრიქუროვი. მიზეზი მკვლელობისა შურისძიებაა. მკვლელი მიიმალა.

ოფიციალური ცნობა

I

ბრძანება ტფილისში დაბანაკებულ ჯარებისადმი

გაზეთ „ივერია"-ში (№ 48) დაბეჭდილი იყო ცნობა, ვითომ ოლქის ჯარების უფროსის მოადგილეს ჯარებისთვის ებრძანებინოს, ქუჩაში მომხდარ არეულობის დროს იარაღი არ იხმაროთო. ეს ცნობა უსაფუძვლოა. ამიტომ, ოლქის ჯარების უფროსის ბრძანებით, ვომყავს უკანასკნელი სიტყვები ჯარების უფროსის ცირკულიარულ განკარგულებისა, 1903 წლის 11 მარიამობისთვის თარიღით: „თუ მიღებული ზომები მიზანს ვერ მიაღწევს და წესიერება აღდგენილი არ იქმნება, სამჯერ უნდა გააფრთხილოთ, რომ იარაღს იხმართ, და თუ უწესოება მაინც არ მოისპობა და იარაღის ხმარება საჭირო იქმნება, ჰაერში კი არ უნდა გაისროლოთ, უნდა ესროლოთ პირდაპირ უწესოების ჩამდენლებს, ან ცალცალკე, ან ერთად ესროლოთ, გარემოებისა დაგვარად."

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ბრბო ვისმე დაეცემა, გაძარცვას, ან გადაწვას, ჯარებმა იარაღი უნდა იხმარონ უფროსის ნებით და გარემოების დაგვარად.

ვინც ამ ბრძანებას არ აასრულებს, კანონით სასტიკად დაისჯება. ხელს აწერს: ტფილისის კომენდანტის მოადგილე გენერალ-მაიორი ტიმოფეევი. („კავკაზი").

II

თელავის მაზრაში გლეხთა მოძრაობის შესახებ ამ უკანასკნელ ხანში შემდეგი ცნობები მოვიდა:

28 მარტს ს. ურიათუბნის გლეხები შეგროვდნენ სასწავლებლის უფროსის ეზოში, აიძულეს სოფლის მღვდლები დაეფიცებინათ ისინი, დახურეს სასწავლებელი, სოფლის კანცელარია, მღვდლებს დაუნიშნეს კომლზე სამი მანათი წლიწადში, გადააყენეს ტყის მცველები და ყარაულები, ჩამოართვეს მემამულეებს ხელწერილი, რომ მათი მამული ეკუთვნის გლეხებს; გადასწყვიტეს საზოგადო სამუშავარზე წოდების განურჩევლად ყველასი გამოწვევა, ტყით და საბალახოთი სარგებლობა უფასოდ, გაჭრობა უბილეთოდ, არაყის გამოხდა უაქციზოდ და სოფლის საავადმყოფოსათვის ფულის გადახდის მოსპობა.

გლეხებმა არავისზე არავითარი ძალა არ იხმარეს და დაიშალნენ.

30 მარტს ს. წინანდლის გლეხები დილას მივიდნენ საუფლისწულო მამულში და მოიწვიეს კრებაზე ყველა მუშა, ხელოსანი და მოჯამაგირე და იმუქრებოდნენ, რომ იხმარდნენ ძალას და გადასწვავდნენ იქაურობას, ყველა თუ არ გამოეცხადებოდნენ მათთან. მოუკიდეს ცეცხლი თავ. სულხან გიორგის ძის ჭავჭავაძის ტყეს, საიდანაც ცეცხლი საუფლისწულო ტყეში გადავიდა, მაგრამ მიღებულ ზომებით ცეცხლი მალე ჩააქრეს. მეორე დღეს სოფელ ვანთას, ბუშათის, ქვემოხოდაშენის და წინანდლის გლეხები, სულ 2000 კაცამდის, შეგროვდა ერთად,—ააფრიალეს წითელი დროშები, საერთო მოქმედება შეჰფიცეს ერთმანეთს, წინანდლის სოფლის კანცელარიასთან მივიდნენ, გამოიტანეს გარედ ხელმწიფე იმპერატორის სურათი დაკეტეს კანცელარიის კარები,—სოფლის მოხელეთ კი ჩამოართვეს სამსახურის ნიშნები და უბრძანეს, აღარ გარეულიყვნენ სოფლის საქმეში.

ამას შემდეგ ხალხი მივიდა საუფლისწულო მამულის რკინის კარებთან, სადაც მათ დახვდა ამ მამულის გამგე ნ. ვ. კუროედოვი. ხალხმა მუქარით მოსთხოვა მოეწერა ხელი ქაღალდებზე და იმანაც შეასრულა გაბრაზებულ ხალხის სურვილი. ამას შემდეგ გლეხების უშველებელი გროვა, ,,ურას'' ძახილით გაემართა სოფ. ქვემოხოდაშენისკენ, ბუშათისა და ვანტოსაკენ, სადაც იქაურ მემამულეებსაც მოსთხოვეს ქაღალდზე ხელის მოწერა.

კავკასიის უმაღლეს მთავრობის ბრძანებით, კავალერიის რაზმი გაიგზავნა თელავის მაზრაში.

სადღეისო

თაგვის სოროში.

...მზემ ოდნავ შემოაშუქა სოროში. წამოხტა თაგვი, თვალები დაიფშვნიტა და თავის მეუღლეს,—თაგუნიას,—მუჯლუგუნი ჰკრა, —

„ადექი, მალე, ნუ გძინავს, გაიხედე ჯუჭრუტანაში!''

ორივე მივარდა ჯუჭრუტანასთან და გარეთ ყურება დაიწყო.

— გაზაფხული მოგვსვლია, გიხაროდეს,—წამოიძახა სიხარულით აღესილმა თაგვმა,—მზე შუქსა ჰფენს უხვად მთელ არე-მარეს. უწინ წელში მოხრილი ჩიტები ახლა ხმას იღებენ და გალობენ მწყობრად. რიღასი გვეშინია, გავიდეთ სოროდან! გვეყო, რაც დღემდის ვიტანჯეთ წელმოხრილნი იატაკს ქვეშ, გვეყოფა!

ხომ ჰხედავ, ყველა თავისუფლად დაიარება: კატა ეალერსება ჩიტუნას! ქორიც, მგონია, აღარ იტაცებს წიწილებს! ყველა თავისუფლად ლაპარაკობს...

დახე, დახე, ის თავხედი ჩიტუნაც რას გალობს, როგორ ერთის ხმიდან მეორეზე გადადის? თავისუფლება, თანასწორობა, ერთობაო,—გესმის?!.. როგორ გათამამებულა! წინად ამნაირ გალობისთვის ხომ რკინის გალიაში ჩასვამდნენ,—ნახავდა სეირს!...

ადე, ადექი! გავიდეთ, ჩავერიოთ საერთო ფერხულში,—ისინი თუ დაიარებიან თავისუფლად, ჩვენც გავიაროთ''!

— მოიცა, თაგვო,—მიუგო მეუღლემ,—რას გიხარია? არ იცი განა, რომ ჩვენმა ავმა ,,ხაზეინმა'', თავისუფლებას რომ დაგვპირდა, კატებიც გაამრავლა მაშინვე... ვინ იცის, ეგება გაიგონეს შენი ნათქვამი და ახლა გვიდარაჯებენ კარებში! გარედ თუ გაედით, კლანჭებს გაგვკრავენ მაშინვე... ჩუმად იყავი, გესმის? ჯერ ყველა ხვრელში ძონძები დავუცოთ და მერე ილაპარაკე,—კატები ვეღარ გაიგებენ შერაფერს...

და ჩვენი თაგვის წინდახედული მეუღლე წამოხტა ზეზე,—დაავლო ძონძებს კბილი და ყველა ხვრელს დაუცო. მერმე დაუბრუნდა თავის საყვარელ თაგვს და ორივე ერთად ოთხისა ან ხუთი დღის გამხმარ პურის ნატეხს ჩამოუსხდნენ.

საბრალო თაგვები!..

— რა ვქნა, კბილები ჩამიმტვრია ოხერმა! რა ვუყო, არ ვიცი! „კატები" რომ არ იყოს ვიშოვიდი რასმე... აგერ ორი დღე არის, გემრიელი ლუკმა აღარ მინახავს... ეს კარგი, კარგი, მაგრამ ჩვენი პატარა თაგუნა სად არის?—დაეკითხა აღელვებულის ხმით თაგვი თავის საყვარელ ქმარსა.

— რა ვიცი!.. ბევრი ვურჩიე, ნუ გახვალ-მეთქი, ნუ ჩაერევი-მეთქი ჩიტებში, რას გარგებს-მეთქი მათი ახალი გალობა,—არ დამიჯერა! წავიდა, გაჰქრა და ახლა, ვინ იცის, სად არის!.. ეგება კატებს ჩაუვარდა ხელში, ეგება ისიც მახეში გაება? წუხელ, ხომ დაინახე ბნელში როგორ დარბოდნენ «კატები», ყველაფერს სჩხრეკავდნენ, საზარლად კნაოდნენ! რა ექნათ, რა გვეშველება, ჩვენი თაგუნაც თუ იმათი მსხვერპლი შეიქმნა?.. მის სიკვდილსაც როგორმე გავუძლებდი, მაგრამ თუ შეიტყეს, ვისი შვილია, ხომ მოვლენ მაშინ ჩვენთანაც „კატები", გაგვჩხრეკავენ და სეირსაც დაგვანახვებენ... ვაიმე! რაღა ვქნა, ხომ დამეკარგა „ხაზეინის" ამდენი ხნის სამსახური და ერთგულება.

და ორივე, ცოლ-ქმარი, მისცვივდნენ ხვრელებს და დააძრეს ყოველგან ძონძები. ორივე, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გაჩერდნენ სოროს ჯუჭრუტანასთან და ხმა-მაღლა, „კატების" გასაგონად შესძახეს,—თაგვმა ბოხის ხმით და მისმა მეუღლემ წრიპინით:

— ,,დიდება კატებს, დიდება ჩვენ მფარველ პატრონებს!''.

და ეს ძახილი გაისმა შორს... შორს და ზიზღით მიიხედეს სოროსაკენ ჩიტებმა, ზიზღის ნიშნად მოშორდა იქაურობას ყველა, ვისაც გულში კიდევ ჰქონდა შერჩენილი პატიოსნების გრძნობა და ადამიანობა.

ამას ვერ ხედავდნენ თაგვები და ისევ გაისმოდა სოროდან საზარლად:

—,,დიდება კატებს''...

პრესსა

როგორც ვიცით, 18 თებერვლის **ხელმწიფის** ბრძანების ძალით, ყველას მიენიჭა უფლება წარუდგინოს მთავრობას თავისი მოსაზრება სასურველ ცვლილებათა შესახებ. ამ მოსაზრების შესამუშავებლად, რასაკვირველია, ერთმანეთში მოლაპარაკება იყო საჭირო. საერთო მოლაპარაკებას მოჰყვებოდა, რასაკვირველია, საეროდ შედგენილი და ხელმოწერილი მოხსენებანი, პეტიციები.

ახლა ადმინისტრაცია სცდილობს გააუქმოს ასეთი ბრძანება და აუკრძალოს ყველას თავისუფლად პეტიციების შედგენა. ამის შესახებ ვკითხულობთ გაზეთ „სლოვოში" შემდეგს:

> 18 თებერვლს გამოცემულ უმაღლეს ბრძანების ძალით, პეტიციების უფლება აქვს მინიჭებული რუსეთში ყველა კერძო პირს და დაწესებულებასაც. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენელი თავის მოქმედებით ზემოხსენებულ ბრძანებას აუქმებს და სცდილობს რუსეთის ყოველ მცხოვრებლს მოუსპოს ზემოხსენებული უფლება.
>
> შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, ზოგიერთ პეტიციას სრულებით შეუფერებელი ხასიათი აქვსო, მაგალითად, მოსკოველ ნაფიც ვექილთა თანაშემწეებმა მოითხოვეს თურმე სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსებაო.
>
> შეუფერებელ პეტიციების საწინააღმდეგოდ არავითარი ადმინისტრაციული ან საპოლიციო ზომა არ არის საჭირო, ვინაიდან მას ვერ მოჰყვება ვერავითარი საშიში შედეგი და ამნაირი პეტიციები მთავრობამ, შეიძლება, უყურადღებოდ დასტოვოს ხოლმე. მაინც ასე არ ხდება ახლაც ზოგიერთ პეტიციების შესახებ, რომელიც არ მოსწონს მთავრობას.
>
> ამას გარდა, ისიც უნდა სთქვას ადამიანმა, რომ პეტიციების განუსაზღვრელი უფლება არავისათვის არ არის საშიში, პირიქით, სასურველია მისთვის, რომ იცოდეს ადამიანმა ხალხის სურვილი.
>
> ამას წინად შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში პეტიციების უფლების შეზღუდვა ითხოვა.
>
> პეტიციების შედგენა ისურვა ზოგიერთმა ისეთმა საზოგადოებამაც, რომელსაც წესდების ძალითა და კანონით არა აქვს უფლება შეადგინოს რამე პეტიციები იმ საკითხების შესახებ, რომელიც მათ პირდაპირ მოქმედებას არ შეეხება.
>
> ამიტომ სამინისტრო აპირობს რამე კანონების გამოცემას იმისთვის, რომ იქმნას შევიწროვებული პეტიციების უფლება.
>
> მინისტრთა საბჭოს წევრთა უმეტესობამ ვერ სცნო შესაძლოდ ამნაირი კანონები გამოეცა, მაგრამ ზოგიერთი მაინც ითხოვდა, რომ ადმინისტრაციას შესძლებოდა იმნაირ კრებების აკრძალვა, სადაც სხვადასხვა არა-სასურველ საკითხების შესახებ იქმნებოდა ლაპარაკი ან ამნაირისავე პეტიციების შედგენას მოისურვებდნენ. უმეტესობაც ამავე აზრს დაადგა.

⁂

რუსულ გაზეთებში ანგარიშობენ, რამდენი დასი არსებობს რუსეთში და რომელი გაზეთი თავის მიმართულებით ამა თუ იმ დასს ეკუთვნის:

სულ რუსეთში უმთავრესი სამი დასი იქმნებაო: მარჯვენა, მარცხენა და ცენტრი.

მარჯვენა.

„მოსკოვის უწყება", „დენ", „მოსკოვსკი ლისტოკი", მოსკოვის თავად-აზნაურობის სამარინის ჯგუფი, ნაიდენოვის სავაჭრო ჯგუფი, „გრაჟდანინი", „რუსკი ვესტნიკი", „სვეტი", „ნოვოე ვრემია", „რუსსკოე დელო", „რუსკი ლისტოკი", გრ. ტოლლის ჯგუფი: ა. ბობრინსკი, შტრიუმერი, სტიშინსკი, ა. ობოლენსკი, კრივსკი, თ. კურაკინი, გოლოვინი და სხვ.; 22 საგუბერნიო მარშლის ჯგუფი; შიპოვი და მისი მომხრე საერობო მოღვაწენი; „სლოვო", „პეტერბურგის უწყება", „რაზსვეტი".

მარცხენა.

სოციალ-დემოკრატები, პოლონელი, სომეხი, ურია და ფინლინდელი უკიდურესი ნაციონალისტები, ვექილების ჯგუფი, პიროგოვის კრების ექიმები, ინჟენრების კავშირი, „ნაში დნი", „სინ ოტეჩესტვა", „რუსსკაია ჟიზნ", „რუსსკაია გაზეტა", „ნაშა ჟიზნ", „ვესტნიკ პრავა", „პრავო", მასწავლებელთა ჯგუფი, „პრავდა", „მირ ბოჟ.", „ჟურნალ დლია ვსეხ", „ობრაზოვანიე", „რუსსკოე ბოგატსტვო", ვოპროსი ჟიზნი", პროფესორების კავშირი.

ცენტრი

„ვესტნიკ ევროპი", „ნოვოსტი", ურიათა, პოლონელთა და სხ ზომიერი ნაციონალისტები. მრეწველთა ჯგუფი. საერობო უმეტესობა. მოსკოვის საბჭო. „რუსსკია ვედომოსტი", რუსსკაია მისლ", „ნაუჩნოე სლოვო", „რუს", „ბირჟევია ვედომოსტი", რუსსკოე სლოვო", პეტერბურგსკი ლისტიკ". „ნოვოსტი დნია".

რუსეთი

ფინანსთა სამინისტროში ერთ ქურდბაცაცა **დიდ მოხელეს აუარებელი ფული გაუფლანგავს**. მოხელემ თავს დროზე უშველა და საზღვარ-გარედ გაიპარა („რ. ვ.").

◆ პეტერბურგში ერთ ქუჩაზე ხელოსნები და მეზღვაურები იდგნენ. მაგრამ, რადგან ქუჩაზე დგომა და ლაპარაკი აკრძალულია, ამიტომ პოლიციელმა—უბნის მეთვალყურემ—მეზღვაურებს სთხოვა, დაიშალენითო. მეზღვაურებმა უპასუხეს: დღეს-ხვალ შორეულ აღმოსავლეთში მივდივართ და ჩვენს მეგობრებს უკანასკნელად ვესაუბრებითო. მეთვალყურემ არც აცივა, არც აცხელა, **მეზღვაურებს რევოლვერი დაახალა და ორი კაცი დასჭრა**. მერე გაიქცა და საყასბოში დაიმალა. ხალხი გაბრაზდა და გამოეკიდა. პოლიციელმა ხმლით კიდევ რამდენიმე კაცი დასჭრა. მეზღვაურებმა საყასბოს კარები შეამტვრიეს და პოლიციელი სულ გაწიწკნეს. გარეშე მაყურებელი ბევრი იყო, მაგრამ პოლიციელს არავინ უშველა და მკვლელებიც კი დამალა. („რ. ვ.").

◆ პროკურორმა მაქსიმ გორკის საქმე დაამთავრა და იუსტიციის მინისტრს გადასცა. პროკურორი **მაქსიმ გორკის განთავისუფლებასა და ამ საქმის მოსპობას თხოულობდა**. მაგრამ, „სინ ოტეჩ."-ს სიტყვით, პროკურორის თხოვნა არ შეიწყნარეს. გორკის საქმეს 7 თიბათვეს გაარჩევენ („რ. ვ.").

◆ კიშინიოვში აღდგომას **ებრაელების აკლებას აპირობენ**. რუსეთის გაზეთებში თითქმის ყოველ დღე იბეჭდება კიშინიოვიდან წერილები. იწერებიან, ჰაერი ,,პატრიოტულ'' პროპაგანდით არის გაღენთილიო. ,,პატრიოტები'' და ,,ხულიგანები'' ყოველ დღე ჩხუბს მართავენ. ჯერ-ჯერობით საშიში არა მომხდარა-რა, მაგრამ

დაღესტანში მიწამ რომ კარგი მოსავალი გამოიღოს, უსათუოდ საჭიროა ყოველთვის მისი მორწყვა, ე. ი. წყლის არხების გაყვანა. თუ არხით წყალი არ არის მიშვებული სახნავსა ან სათიბზე, ადგილი ნაყოფს ვერ გამოიღებს. მთელ დაღესტანში ითვლება სარწყავი არხები სიგძით ათასი ვერსი, რომელიც რწყავს 67,481 დ. სახნავსა და სათიბს. დანარჩენი 216,290 დეს. კი, რომელიც ხაზინისაგან დაბეგრილია, როგორც შემოსავლიანი ადგილი, სარწყავ წყალს მოკლებულია.

ცხადია, რომ სარწყავ არხების გამრავლებას მცხოვრებთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ერთი ასეთი არხის გაყვანის ისტორია ნათლად ამტკიცებს ადმინისტრაციის უგულობას ხალხის ჭირვარამის შემსუბუქების საქმეში. 1-ლ მაისს 1875 წელს შეუდგნენ „სულაკის არხის" გამოყვანას. მოთავე იყო ადმინისტრაცია, მომუშავე კი—მცხოვრებნი, რომელნიც ასრულებდენ ამ სამუშაოს, როგორც ნატურალურ ბეგარას. 1879 წელს ადმინისტრაციას წამოეხმარა სამხედრო უწყება, რომელმაც სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად გაიღო 35,848 მანეთი. 1882 წელს შეიქმნა საჭირო მუშაობის გეგმის შეცვლა, რის გამო მხოლოდ 1890 წ. დაამთავრეს არხის კეთება, მაგრამ ვაი ამისთანა გათავებას! გაუშვეს წყალი არხში, მაგრამ წყალმა გზაზე მიანგრ-მოანგრია სხვადასხვა ხელოვნური მოწყობილებანი და დანიშნულ ადგილამდის ვერ მიაღწია. 1895 წელს სამხედრო უწყებამ გამოგზავნა თავისი ხუროთ-მოძღვარი. ამ უკანასკნელის ანგარიშით, არხის გამოკეთებისათვის საჭირო შეიქნა 185,525 დღის მუშაობა 70,284 ხარ-ურმით და ფულად 32,825 მან.; ადმინისტრაციამ ვეღარ მოუარა თავის საქმეს და ჩიხირი მიატოვა. არხი დღესაც დაუმთავრებელია. ამნაირად ჩაიღუპა ამდენი ხალხის ნაშრომი და 1000 დ. მიწა, რომელიც ამ არხს უნდა მოერწყო, უნაყოფოდ დარჩა.

რომ ადგილები მოსავლიანი იყოს და აგრეთვე ყველა ირწყვებოდეს, მაშინ ხალხი ისეთ გაჭირვებაში არ იქნებოდა, როგორშიაც ეხლა არის. სახნავ-სათესი ადგილები არც ისე ცოტაა, თუ ზემოდ მოყვანილ ოფიციალურ ციფრებს დავემყარებით, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ადგილები ძალიან მცირე მოსავლიანია. მაგალითად, 1899—1901 წ.წ. პური იძლეოდა მოსავალს ერთი სამად, სიმინდი—ერთი—7,8-ად და დანარჩენი სხვადასხვაგვარი ხორბლეულობა ერთი—2,8-ად. თანახმად ოფიციალურ ციფრებისა, საშუალო რიცხვით დაღესტნელს სარჩო მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში ჰყოფნის, მაგრამ ისეთი კუთხეებიც მოიპოვება, სადაც ორ თვეზე მეტს არ ჰყოფნით წლის მოსავალი. აქედან ცხადად სჩანს, რომ ხალხი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი და დიდი შრომა სჭირდება, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს.

გვარიანად გავრცელებულია დაღესტანში მევენახეობა, სადაც კი ეს შესაძლებელია ადგილზოგიერთ ოლქების მცხოვრებნი იძულებულნი არიან ცხვრის ფარა შორს იყოლიონ თავის საზინადრო ადგილებიდან. სხვადასხვა საკვები, როგორც თივა, ბზე და ჩალა ძლივს ჰყოფნის ზამთრობით მსხვილ-ფეხ საქონელს, რის გამო საქონლის მომშენებელი იძულებულია, ცხვარი ზამთარ-ზაფხულ გარედ დაანარჩუნოს. ზამთრობით ცხვრის ფარას საბალახოდ უმეტეს ნაწილად თელავისა და სიღნაღის მაზრებში და ზაქათალის ოლქში მიერეკებიან. ანდის ოლქის მცხოვრებნი ფლობდნენ მთებში 16 ათას დესეტინა საბალახოს, რომელიც მათ 1877 წელში ჩამოერთვათ და ეხლა ქირითაც ვეღარ შოულობენ, რაც ოდესმე მათს საკუთრებას შეადგენდა, ვინაიდან ვაჭრობით გაცემა ამ საბალახოსი ტფილისში ხდება, სადაც აქაური მცხოვრები სიშორის გამო ვერ მიდის და ვაჭრობაში მონაწილეობას ვერ იღებს. მიუხედავად ამდენ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, საქონლის მოშენება შედარებით გვარიანად სწარმოებს, რასაც დაახლოვებით მაინც ამოწმებს ადმინისტრაციის შემდეგი ცნობები: თითო ოთხ-კუთხ ვერსის სივრცეზე ითვლება 14 მსხვილ-ფეხი და 62 წვრილ-ფეხი საქონელი. თითო კომლს უწევს, საშუალო რიცხვით, 16 სული საქონელი. 1901 წლის განმავლობაში მთელ დაღესტნის მხარეს გაუყიდნია დაახლოვებით 377,000 მანეთად ღირებული საქონელი.

დაღესტანში გავრცელებულია ბევრნაირი ხელობა. უფრო მომგებიანად ითვლება იარაღის მზადება,—ხმლის, ხანჯლის, თასრებისა და ქამრების გასაწყობის კეთება, დამზადებული ნივთები კარგ ხარისხისაა, რის გამო აქ ნაკეთები ხმალ-ხანჯალი განთქმულია კავკასიის გარედაც. გარედ ბაზარზე გასატანად ქსოვენ შალებს, ჩოხებს ფარდაგებსა და ხურჯინებს, აგრეთვე ამზადებენ კარგ ხარისხის ნაბდებს. ოჯახის საჭიროებისათვის და ადგილობრივ ბაზარზე გასაყიდად ამზადებენ სამეურნეო იარაღებს, თიხის ჭურჭელს და ყოველგვარ ტანსაცმელს. არის ისეთი სოფლები, სადაც მთელის წლის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ, კაცი და ქალი ხელოსნობას ეწევა, როგორც, მაგალ., უნცკული, კუმუხი, თაბაზუ, მუქარი და სხვები. ადმინისტრაციის ანგარიშით, აქაურ ქალაქებში ითვლება 2,000-მდის სხვადასხვა ხელოსანი, სოფლებში კი 15 ათასამდის.

დაღესტნის მთებში 25 სხვადასხვა გვარი მადნეულობაა. უფრო ხშირია ვერცხლის წყლისა და გოგირდის მადნები, აგრეთვე ნავთი და მარილი, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ-ჯერობით ჩაფლულია მიწაში და თითქმის არავითარი სარგებლობა არავისთვის არ მოაქვს. მხოლოდ აქა-იქ მცხოვრებნი იღებენ თავის საშუალებით ნავთს, მარილსა და რკინის მადანს,—რასაკვირველია, მხოლოდ შინაურ და ახლო-მახლო ბაზარზე გასატანად.

ამ ბოლო ხანებში, შედარებით, დიდის სისწრაფით მატულობს მუშათა რიცხვი დაღესტნიდან. ჯერ-ჯერობით დაღესტნელ მუშას ბაზარზე მხოლოდ ვნება მოაქვს სხვა მუშებისათვის, ვინაიდან, როგორც მცირე მოთხოვნილების მქონე, მცირე ფასით კმაყოფილდება და ამგვარად ძირსა სწევს საზოგადოდ სამუშაო ხელფასს. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში დაღესტნელი მუშაც განვითარდება, შეიგნებს თავის ინტერესებს და შეუერთებს თავის ძალ ღონეს საერთო მუშათა მოძრაობას. ადმინისტრაციის ანგარიშით, სხვადასხვა სამუშაოზე, განსაკუთრებით კი „შავ-მუშად", 1899 წელს ყოფილა გასული—59,077 სული, 1900—67,994 და 1901 წელს 76,336. აქედან სჩანს, რომ ბოლო წელს სამუშაოდ გასულთა რიცხვი უდრის 12%-ს მთელის მხრის მცხოვრებლებისას (639,307 სული). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გარედ სამუშაოდ მხოლოდ მამა-კაცი გადის, მაშინ ეს % მამაკაცთათვის ერთი-ორად უნდა ვიანგარიშოთ, ე. ი. 24%-ად უნდა ჩავაგდოთ.

ამ მოკლე მიმოხილვიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ დაღესტნელნი არ გაურბიან არავითარ შრომას, მაგრამ მაინც ვერ დაუკმაყოფილებიათ თავისი განუვითარებელი მოთხოვნილებანი და ლამის შიმშილით ამოწყდნენ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მცხოვრებთა რიცხვი ძალიან ნაკლებად მატულობს, ზოგიერთ ოლქებში პირიქით, შესამჩნევად კლებულობს კიდეც.

შემდეგს წერილში ვეცდები აუწერო მკითხველს,—რა მიაქვს მთავრობას მცხოვრებთაგან და რა პატრონობას უწევს ხალხს ამის სამაგიეროდ.

დროებით დაღესტნელი.

საალდგომოდ კი ებრაელების აკლება თითქმის აუცილებელია. ებრაელები ჯგუფ-ჯგუფად მიდიან გუბერნატორთან და სთხოვენ, საზღვარ-გარედ გვინდა წასვლა და პასპორტები მოგვეცითო. ქუჩა-ქუჩა სალდათები დადიან. კიშინიოვის გუბერნიაშიაც გლეხთა მოძრაობა დაიწყო, ასე რომ შიშმა და რაღაც უბედურების მოლოდინმა მთელი ბესარაბია მოიცვა (პ. ც.).

◆ რუსეთ-იაპონიის ომმა რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა და ხაზინა საშიშრად დააზარალა. ერთ ფინანსისტის ანგარიშით, ხაზინასა და კერძო სააქციონერო საზოგადოებებს **ომმა შემდეგი ზარალი მოუტანა:** რუსეთს სახელმწიფო რენტა 3 მილიარდ მანეთისა აქვს; თითო ფურცლის ფასი 17 მანითით დაეცა; აქედან ზარალი—510 მილიონი მანათია. რუსეთის 22 ქალაქს 1½ მილიარდ მანეთის ობლიგაციები აქვს. ფასმა 15% დაიწია; ზარალი—225 მილიონი მანათია; სადგილ-მამულო ბანკებმა 340 მილიონი მანათი იზარალეს; საგლეხო და სათავად-აზნაურო ბანკებმა გირავნობის ფურცლებზე 200 მილიონი მანათი წააგეს. რკინის გზის საზოგადოებებმა 500 მილიონი მანათი იზარალა. თუ რა ზარალი მიაყენა ომმა ქარხნებსა და სავაჭრო დაწესებულებებს, ამის გამოანგარიშება შეუძლებელია (რ. ს.).

◆ სიმბირსკის საბირჟო საზოგადოებამ შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: სიმბირსკის საბირჟო საზოგადოება დარწმუნებულია, რომ 18 თებერვალს გამოცხადებული რესკრიპტი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი დაგვიანება იწვევს აღელვებას, არეულობას და ადვილი შესაძლებელია, რომ **სახელმწიფოში საშინელი ამბებიც დატრიალდეს.** მომავალ რეფორმისთვის საჭირო მასალების შეკრება და შემუშავება მთავრობამ თავის-მიერ დანიშნულ კომისიას მიანდო და არა ხალხის-მიერ არჩეულ დეპუტატებს; ამ განკარგულებამ ხალხი დაარწმუნა, რომ **მომავალ საერო კრებას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.** ამიტომ ჩვენის საზოგადოების დასამშვიდებლად დაუყოვნებლივ საჭიროა ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელნი მოიწვიოთ და საქმის გადაწყვეტა იმათ მიანდოთ (რ. ვ.).

◆ მაქსიმ გორკი ამჟამად ყირიმში ცხოვრობს და თავის საქმის გარჩევას ელის. გორკი თურმე ძალიან ავად არის. არაფერსა სჭამს, არა სძინავს და ნახველს სისხლი ამოსდევს. ეხლა ეჭვს გარეშეა, რომ **გორკი ჭლექით არის ავად** (რ. ვ.)

◆ 18 თებერვლის უმაღლეს რესკრიპტის ძალით, ყველა დაწესებულებასა და კერძო პირებსაც ნება ეძლევათ შეიკრიბნენ, სახელმწიფო წესწყობილების შესახებ მოილაპარაკონ და თავიანთი მოსაზრება ბულიგინის კომისიაში წარადგინონ. მაგრამ ადმინისტრაცია და პოლიცია თავის ჩვეულებას არ იშლის და **ხალხს** ამის ნებას არ აძლევს. ასე, მაგალითად, ორლოვისა, პოლტავისა, სარატოვისა და ხერსონის გუბერნატორებმა ქალაქის საბჭოებსა და ერობას ამის შესახებ ლაპარაკის ნება არ მისცეს. ეხლა, როგორც ამბობენ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ ცალკე ცირკულიარი უნდა გამოსცეს. ამ ცირკულიარის ძალით, ქალაქის საბჭოებს, ერობასა და მთავრობის მიერ ნებადართულ საზოგადოებებს ნება ეძლევათ სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესობის შესახებ მოილაპარაკონ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამ კრებაზე სახელმწიფოში **არსებულ წესწყობილების ძირითად კანონების შეცვლაზე არ ილაპარაკონ.** ერობის საბჭოებში ამ საგანზე ლაპარაკის დროს ყველას დასწრების ნება აქვს, საზოგადოებებში კი მხოლოდ წევრები უნდა დაესწრნენ (პ. კ.).

◆ სამეცნიერო აკადემიამ კობეკოს კომისიაში ცენზურის შესახებ თავის აზრი და მოსაზრებანი გაგზავნა. აკადემია თხოულობს, ყველა ტომისა და ყოველგვარი ლიტერატურა ცენზურისაგან უნდა განთავისუფლდეს, **ცენზურა ეხლავე უნდა გაუქმდეს** და მის მაგიერ ბეჭდვითი სიტყვას კანტროლი სასამართლომ უნდა გაუწიოსო (ს. ო.).

◆ ამჟამად სამეცნიერო აკადემია და საერო ბიბლიოთეკა **არალეგალურ ლიტერატურას აგროვებენ** (ს. ო.).

◆ 4 თიბათვეს პეტერბურგში მთელის რუსეთის **ქალთა კრება მოხდება** (რ. ვ.).

◆ ფინლიანდიაში დემოკრატია დაჟინებით **თხოულობს საარჩევნო საქმის რეფორმას.** ამის გამო ფინლიანდიელმა მუშებმა და სიფხიზლის საზოგადოების წევრებმა (ამ საზოგადოებას ფინლიანდიაში დიდი გავლენა აქვს და აურებელი წევრიცა ჰყავს) რამდენიმე დღის განმავლობაში ზედი-ზედ **მანიფესტაციები გამართეს.** მუშები ქუჩაში ათასობით იკრიბებოდნენ (31 მარტს 25 ათასამდე კაცი შეგროვდა), აგიტაციას ახდენდნენ და სეიმს დაჟინებით სთხოვდნენ, საარჩევნო საქმეში რეფორმები შეიტანეთო. 1 აპრილს სეიმი უკანასკნელად შეიკრიბა. საღამოს 7 საათზე რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი და სეიმისკენ გაემართა. წინ ბაირაღები მიჰქონდათ. ბაირაღებზე შესაფერი წარწერა იყო: „საერთო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო ხმა;“ „საარჩევნო უფლება ხალხის განვითარების კარებია“, „ძირს საარჩევნო რეფორმის მოწინააღმდეგენი“! და სხ. სეიმის წინ ხალხი ღამის 2 საათამდის იდგა და კრების გათავების მოლოდინში ფინურ სიმღერებს მღეროდა. 2 საათზე ხალხმა გაიგო, რომ მოხსენება საარჩევნო რეფორმის შესახებ მხოლოდ სამღვდელოებამ მოიწონა, დანარჩენებმა კი იმის განხილვა გადასდეს. ამ ამბავმა ხალხი აალელვა, ააშფოთა და გააბრაზა. ხალხი ყველაზე უფრო მოქალაქეებსა და თავად-აზნაურებზე გაბრაზდა. ხალხი თხოულობდა, სეიმს შემოვერტყათ და სანამ ამ საგანს კენჭს არ უყრიან, არავინ გამოვუშვათო. სამღვდელოებას კი, პირიქით, გზას აძლევდნენ და მადლობას უძღვნიდნენ. ხალხი, მართლაც, სეიმის შენობას შემოერტყა. ბაირაღები ტერასაზე აიტანეს და ლაპარაკი დაიწყეს. ფინთა ცნობილი ლიტერატორი მეილპასი გაცხარებული ამტკიცებდა, რომ სეიმმა მუშების იმედი არ გაამართლა, ხალხი მოატყუაო, და მოიგონა 1900 წ. მომხდარი ამბავი. იმ წელს მუშებს ფინლიანდიის სეიმის იმედი გადაუწყდათ და ამიტომ გადასწყვიტეს, ჩვენი საჭიროებანი პირდაპირ უმაღლეს მთავრობას შევატყობინოთო. მაგრამ დანარჩენმა პარტიებმა მუშებს პატრიოტულ გრძნობის უქონლობა უკიჟინეს, გაჰკიცხეს და ერთხმად ჰპირდებოდნენ, მომავალი სეიმი თქვენზედაც იზრუნებს და საარჩევნო რეფორმას მოახდენსო. ეხლა კი, როცა საქმე საქმეზე მიდგა, სეიმმა მუშებს უღალატა, მათ საჭიროებას ზურგი შეაქცია და ხალხი მოატყუა. დაპირება მხოლოდ სამღვდელოებამ შეასრულა, ე. ი. იმ წოდებამ, რომლის იმედიც სულაც არა ჰქონიათ მუშებსო (რ.).

კორესპონდენცია

ერწო (თიანეთის მაზრა). კალამი ხელში ავიღე, მინდა დავწერო, ქვეყანას შევატყობინო ის გულქვაობა, რაც აქაურმა პოლიციამ და კაზაკებმა ერწოში ჩაიდინეს. აპრილის ხუთში ერწოს მცხოვრები გლეხები შეგროვილიყვნენ ს. ტოლაისოფელში თავიანთ ჭირვარამზე მოსალაპარაკებლად. უნდოდათ გაეგზავნათ თხოვნა, სადაც ჯერ არს, რომ ეგებ ცოტათი მაინც გაუმჯობესებულიყო იმათი მდგომარეობა. ამისთანა კრებები ნება-დართულია უმაღლესის მთავრობისაგან. გაუგია ნაქალაქრის მღვდელს გიორგი თურქაძესა და იმის ძმას ლალეს, გლეხები „ბუნტს“ აპირებენ, კიდ ყურს აღარ მომცემენო, და ერთი ფაცი-ფუცით შეატყობინეს ადგილობრივ პოლიციას, გლეხები „ბუნტს“ აპირებენ და ყველას მოკვლას გვეპირებენო..

მაშინვე დაუყოვნებლივ ს. ტოლაისოფელში გაგზავნეს კაზაკები და სალდათები. ხალხს სრულიად აზრად არა ჰქონდა წინააღმდეგობა გაეწია ჯარისთვის, ან კი რით გაუწევდა, სახრეც კი არავისა ჰქონდა! მისვლისათანავე ბოქაულმა დაუყვირა ხალხს—დაიშალენითო! მრავალ საუკუნოებით ტანჯული, ღირსება-პირადობა დაკარგული, ყველასაგან აბუჩად აგდებული და ფეხქვეშ გაქელილი ხალხიც უსიტყვოდ დაემორჩილა ბოქაულის ბრძანებას და დაიწყო დაშლა. გაქცეულ ხალხს დაერივნენ კაზაკები ხმლებით და დაუწყეს უიარაღო, უსიტყვო, ალალ-მართალ ხალხს ხოცვა-ჟლეტა. პირველად მაგალითი კაზაკებს აფიცერმა უჩვენა: ერთის ხმლის დაკერით თავი გააგდებინა ჩხუბია ყორიაულს. ეს ჩხუბია ყორიაული გამოჩენილი, შეძლებული კაცი იყო მთელ ერწოში. ჩხუბიას სიკვდილით დაობლდა მთელი ერწო. საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, საუკეთესო ვაჟკაცო, უდანაშაულო მსხვერპლო! ჯერჯერობით ექვსია მოკლული; დაჭრილიც ბლომად არის. ამბობენ, ბევრი აღარ მორჩებაო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ყველა დაჭრილი და მოკლული უკანიდან არის ნაცემი და ნათლად ეტყობა, რომ გაქცეულ ხალხს სცემდნენ.

დალონებული.

გორი. სოფლის მასწავლებლების ბედი. კავკასიის სამოსწავლო ოლქის სკოლების მზრუნველმა გორის საქალაქო სკოლის ინსპექტორს, რომელიც ირიცხება ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების მეორე რაიონის ინსპექტორის პერეგუზნიკოვის მოადგილედ, დეპეშით შემდეგი მოწერილობა გამოუგზავნა: გამოუცხადე სოფლის სკოლების მასწავლებლებს, რომ რადგან სოფლის საზოგადოებანი, რომელნიც სკოლებს ინახავდნენ, უარს აცხადებენ მასწავლებელთათვის მისაღებ ჯამაგირის შეტანაზე ხაზინაში, ამიტომ სოფლის მასწავლებელნი დღეის იქით სამსახურისაგან განთავისუფლებულად ითვლებიან და შეუძლიანთ, სადაც ჰნებავთ, ადგილები მოსძებნონ. ამას იქით ჯამაგირი აღარ მიეცემათო. ხოლო ვის სკოლასაც ხაზინა ინახავს, იმ სკოლის მასწავლებელნი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავიანთ თანამდებობის აღსრულებასა და ყოველი ღონე იღონონ უსათუოდ მოწაფენი მიიყვანონ სკოლებშიო. ამ ბრძანებას ბ-ნ მზრუნველისას უკითხავს ინსპექტორი მასწავლებლებს და თან ხელს აწერინებს. რამდენსამე მასწავლებელს ებძანა (მერეთისას და ლამისყანისას) დაუყოვნებლივ წავიდნენ თავიანთ სკოლაში და უეჭველად სწავლა განაგრძონ. საწყალი მასწავლებლები შემხვდნენ ქუჩაში ფრიად მწუხარენი, შეჭირვებულნი და მგლოვნი: აღარ ვიცით, ორ ცეცხლს როგორ დავაღწიოთ თავიო. არ წავიდეთ,—მთავრობა დაგვითხოვს, წავიდეთ და—ხალხი დაგვხოცავსო. ერთხელ ძლივს გამოვასწარით და მეორედ როგორ-ღა გადავრჩებითო. მთხოვეს წამალი და მეც შენზე მოვუთითე, მკითხველო!

მშობლების კრება. საქალებო გიმნაზიის მთავრობამ მოიწვია მშობლები სკოლისა და მოწაფეების დღევანდელ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად. მაგრამ ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მისულ მშობლებს, ან მშობლების მაგიერ ძმებს, დაგვიწყეს გამოკითხვა ჩვენს ჩინსა და ნამსახურობაზე. ვისაც თეთრი ჭაღარა არ უმტკიცებდა სამსახურში განვლილ კეთილსაიმედობას და, თავისდა სასიხარულოდ, ახალგაზდა იყო, იმათ უკანვე ისტუმრებდნენ, ვინაიდან ეს ახალგაზდობა ისეთს რასმე მოითხოვდა თავის შვილებისათვის, ან დებისათვის, რაიცა სასწავლებლის უფროსებისათვის სათუთხობელად ითვლება. ამიტომ მთელ კრებაზე დიდი დარბაისლური სიჩუმე სუფევდა და სიცოცხლეს მხოლოდ იმაზე შეატყობდით, რომ უფროსის ყოველ სიტყვაზე თავებს აქნევდნენ, თითქო ზაფხულის სიცხეში ცხენს ბუზი დაჰხვევიაო და თავის ქნევით ბუზებს იგერებსო.

ოღონდ „ბუნტოვშჩიკობას“ ნუ შემოგვწამებთო,—დაღადებდა მათი შეშინებული თვალები,—და ჩვენი შვილები თქვენი ჭირის სანაცვლოო იყვნენო.

ეხლა საქალაქო სასწავლებელსაც და ქალების გიმნაზიასაც კაზაკები დარაჯობენ და, ერთი წოხმაურობა რომ გაიგონონ, თვითონაც და თავიანთი ცხენებიც ფანჯრებში იჭყიტებიან. ჩვენი შვილები ძალიან არხეინის გულით ისწავლიან, არა?!

ოცდახუთს მარტს გორის სობოროში მწირველი იყო ეპისკოპოზი ალავერდისა ეგთიმე, რომელმაც, მრავალ ხალხისა, ჯარისა და საერო დარაჯების დასწრებით, წარმოსთქვა დროის შესაფერი სიტყვა და მოაგონა ხალხს ქრისტეს მცნება მოთმინებისა. თუ აქ მოითმენს კაცი ყოველსავე თავის გაჭირვებასა და სხვისგან მიყენებულ უსამართლობას, ღმერთი ერთი ათად სიკეთეს მოგაგებს საიქიოსაო... „ალერსიანად“ გამოელაპარაკა რამდენსამე მოწაფეს და მერე ხალხს დაურიგა წიგნაკი „რჩეული სიტყვები“, სხვადასხვა წიგნებიდან გამოკრებილი მ. შ—რაძის მიერ.

აი, რამდენიმე საგულისხმიერო სიტყვა:

გვ. 108. მტანჯველებისაგან ზედადგარზე ცალის მხრით დაკრული და ნაკვერჩხალზე დადებული ერთი წმიდანთაგანი მტანჯველებს ეუბნებოდა: დროა, მეორე გვერდზე გადამაბრუნეთო.

გვ. 58. დასჯილი ცოდვილი ჯოჯოხეთიდამ როგ გამოსულიყო, თავის ავი სუნით ყველას გასწყვეტდაო. გვ. 59. სულელები ამბობენ, ჯოჯოხეთში თუ წავალ, მარტო მე ხომ არ ვიქნებიო. თქვე სულელებო! რამდენადაც მეტნი იქნებით, იმდენად უფრო უარესი იქნება. იქ, უბედურებთან, ამხანაგობა კი არ მოაკლებს კაცს უბედურებას, არამედ უფრო მოუმატებსო,—ამბობს ერთი წმიდანთაგანი. ჯოჯოხეთში მყოფნი დიდ ზამთარში მყოფ ცხვრებივით ერთი-მეორეზე არიან მიყრილნი და ერთის სიმყრალე, ყვირილი და შეწუხება მეორეს აწუხებს და სტანჯავსო. ჯოჯოხეთშივე მყოფნი ღვთის რისხვისაგან უგრძნობ საწურავსავით იწურებიან და მისი ძლიერების შიშით ქვავდებიანო.

უცნაური პროკლამაცია. გორში ვიღაც პირები პროკლამაციებს არიგებენ. ერთს მღვდელს ეთქვა ჩემის ღვთის მოდღვრე ნათლიმამისათვის: ვინც ამას ცხრაჯერ წაიკითხავს, რაც ცოდვა უქნია, სულ აპატიებაო. მინდოდა ერთი მეშოვნა და მეც ჩემი ცოდვებით დატვირთული ზურგი ცოტა შემემსუბუქებინა, მაგრამ ვინ გაიმეტებდა სახმოდ,—ყველას თვითონ ეჭირა და კითხულობდა.

კარალეთი. ეს ერთი კვირაა, რაც მთავრობამ ჯარი გამოჰგზავნა კარალეთში. ჯარი სოფელშია ჩამდგარი. სოფელი მოვალეა ხარჯი აძლიოს ჯარსა, რისთვისაც ხოცვენ ძროხებსა და ხარებს. ვითომ ჭირს გაუწყვეტიაო, იძახის ხალხი,—რა ვქნათ, დაკლდნო. როგორც გლეხები ირწმუნებოდნენ, თ. ე-მა რამდენჯერმე მოგვიგზავნა კაცი, მოგირიგდებით, მოდითო, მაგრამ ხალხი დიდ უარზე არის. რაც მოგვივა, მოგვივაო.

აქ უნდა მოვიხსენიო, რომ გლეხებს სხვა არა დაუშავებიათ-რა თ. ე—თვის იმის მეტი, რომ ცხვარი გაურეკეს ოსებს კარალეთიდან, მოჯამაგირეები აღარ მიგზავნეს და მუშა. არც დაწვა, არც დაჭრა, არც რისამე დანგრევა არა ყოფილა კარალეთში.

როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგე, თ. ე—ი კარალეთს ას თუმანზედაც უჩიოდა: ცხვრის გარეკით 500 მ. ზარალი მომცესო და მოჯამაგირეების გარეკითაც ამდენივეო. თუ მეთხედს, დღიურზე მანათსა და ორ მუშას არ მომცემთ, თქვენ აღარ მოგცემთ მოსასხნავად, რუსებს, ნემეცებს და ბერძნებს დავასახლებ ჩემს მამულზედაო. ეხლა კი არ ვიცი, რა პირობით სთხოვდა შერიგებას. ვნახოთ, რით გათავდება საქმე. ჯარი გაიგზავნა აგრეთვე სოფ. აძვში და ფლავისმანში; აძვლებს არაფერი დაუშავებიათ სოფლებით. მაგრამ რუსები იტყვიან „у страха глаза велики“-ო, მგონი ხმალძეებს ისე მოუვიდათ.

რ. ოდეთ...

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 11 აპრილი. **თავად-აზნაურთა კრება დასრულდა. კრებამ შეიმუშავა და ერთხმად მიიღო ისეთივე ადრესი, როგორიც ტფილისის თავად-აზნაურობამ. გლეხობასთან შერიგება გადასწყვიტეს საპატიო პირთა ხალხთან მოლაპარაკებით და პრესსის დახმარებით. გადასწყვიტეს სთხოვონ ნამესტნიკს სახელმწიფო ბანკში შესატანი გადასახადი ადროვონ.**

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან.

11 აპრილი.

ჩიჩაგაძა. მთავარ-შტაბის აფიცრების პარტიას, პოდპოლკოვნიკის იოგანსონის წინამძღოლობით, 9 აპრილს მდინარე ლალიაკშაზე შეტაკება მოუხდა 150 ხუნხუზთან. ცხარე სროლის შემდეგ, ხუნხუზები გაიფანტნენ. ლაშქრის ფრონტზე ცვლილება არ არის.

საიგონი, 10 აპრილი. გუშინ საღამოს საიგონთან, ზღვაზე, ზარბაზნების გრიალი ისმოდა; ფიქრობენ, მზვერავ გემებს მოუვიდათ შეტაკებაო.

ლონდონი. საიგონში იარაღ-აყრილ „დიანას“ მეზღვაურნი კრეისერ „პეტერბურგზე“ გადავიდნენ კამრანის ნავთსადგურში.

ტოკიო. ოფიციალურად. ის დასი, რომელმაც ტონგუა დაიჭირა, იუწყება, რუსების მცირე რაზმები ლიაოლინისა და მარუკოუსთან არიანო.

რუსების მზვერავები ტაოლუს მიდამოში ძალიან ფხიზლად არიან, თუმცა რუსებს ბრძოლის განახლების სურვილი სრულიად არ ეტყობათ. სხვაფრივ ცვლილება არა არის-რა.

ოფიციალურად მტკიცდება, რომ საფრანგეთის მთავრობამ, გაიგო თუ არა როჟესტვენსკის ესკადრის გაჩერება კამრანის ნავთსადგურში, მაშინვე ტონიკინის გუბერნატორს ხელმეორედ გაუგზავნა ინსტრუქცია,—სანეიტრალო წესი მტკიცედ აღასრულეო. შემდეგ დეპეშითაც უბრძანა, აცნობე როჟესტვენსკის, რომ დაუყოვნებლივ წავიდეს ნავთსადგურიდანო. გუბერნატორს მოუხსენებია მთავრობისათვის, ბრძანება ავასრულეო. ამასთანავე საფრანგეთის მთავრობას რუსეთისთვისაც შეუთვლია, უბრძანე როჟესტვენსკის საფრანგეთის წყლებს გაშორდესო. რუსეთი დასთანხმებია. იაპონიაში კმაყოფილებას აცხადებენ, რომ საფრანგეთმა ასეთი სამართლიანობა გამოიჩინაო.

პორტ-არტურში ჩაღუპულ გემებს იღებენ. დიდძალი ტყვია-ყუმბარა და სამხედრო მასალა იპოვეს, მიწაში ჩაფლული. ციხის დაზიანებული ნაწილები შეაკეთეს.

ამბობენ, ქალებსა და ბავშვებს ხარბინიდან ახიზნებენო. მომეტებული ნაწილი სავაჭროებისა დაკეტილია. საავადმყოფოები დასავლეთისკენ გადაუტანიათ. ციციკარიდან აღმოსავლეთისა და და სამხრეთისკენ სიმაგრეებს აკეთებენ. მოსალოდნელია, რომ ამ ადგილს უნდა მოხდეს ბრძოლა.

მანილა. ტოგოს ესკადრის უმთავრესი ნაწილი ფორმოზის სამხრეთად არის. იაპონიის კონსულმა საიდუმლო განკარგულება მიიღო, კამიმურას ესკადრა მოდისო. კონსული ამბობს, იაპონიის გემები მანილაში არ შევლენ, არამედ ნავთსადგურს გარედ იცურავებენო.

საიგონი. აქ მოელიან ესკადრას, რომელშიაც 7 ჯავშნოსანი და კრეისერი იქმნება. ამბობენ, ბალტიის ესკადრის ნაწილი იაპონელებს შეებრძოლება, სხვა გემები კი შორს მოუვლიან და ეცდებიან ვლადივოსტოკს მივიდნენო.

გუნჯულინი. მუკდენიდან მოსული ჩინელი თარჯიმანი ამბობს, ჩინელი გენერალი მაი მუკდენს მივიდა.

შანჰაი. იაპონელები პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ „ასკოლდი“ ნახშირით იტვირთება და ისიც კარდიფისეულით. აღმოჩნდა, რომ ჩინელებს ჩუმად მიუზიდნიათ 300—4000 ტონნი. „ასკოლდს“ ეხლა 1,000 ტონამდინ ქვანახშირი დაუდვიაო.

ტოკიო. საერთაშორისო უფლების მცოდნე იაპონელი ამბობს, იაპონიის სამხედრო გემებს ეხლა უფლება აქვთ მივიდნენ ნავთსადგურში და რუსების გემებს გვერდს ამოუდგნენო.

ტოკიო. თუმცა საფრანგეთის პასუხმა იაპონელები დაამშვიდა, მაგრამ ჰგონიათ, როჟესტვენსკიმ თავისი საქმე უკვე შეასრულა, ვიდრე განკარგულებას მიიღებდაო.

მანილა. ამერიკის ესკადრის ადმირალს, იაპონიის კონსულსა და იაპონიისა და ამერიკის ჯარების სარდლებს თათბირი აქვთ.

პეტერბურგი. ოფიციალური. გამოცემულია შემდეგი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი: „მიმდინარე წელს ზოგს სოფლებში არეულობა მოხდა, რასაც მოჰყვა აკლება და ძარცვა მემამულეთა სახლ-კარისა, სავაჭრო-სამრეწველოებისა და მოძრავ ქონებისა. ამისთანა ბოროტგანზრახული დარღვევა მფლობელის უფლებისა აუტანელია, რადგან ყოველი კერძო საკუთრება ხელუხლებელი უნდა იყოს და მისი დაცვა უკანონო მითვისებისაგან მთავრობის უპირველეს მოვალეობას შეადგენს და საჭიროც არის საზოგადო ცხოვრების მშვიდობიან და წყნარ წარმატებისათვის. რათა საზოგადოებაში დამკვიდრდეს მტკიცე რწმენა, რომ კერძო ქონებას უცხო არ უნდა შეეხოს და ვინც ეცდება მის მითვისებას, სასტიკ სასჯელს გარდა, ქონებრივად პასუხის მგებელი იქმნება, ჩვენ ვბრძანებთ: 1) შინაგან საქმეთა მინისტრს მიენიჭოს უფლება, იმ მაზრებში, სადაც არეულობა მოხდება, დააარსოს საჭიროებისამებრ სამაზრო კომისიები, თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით; 2) დაევალოს ამ კომისიებს გამოკვლევა, როგორც არეულობაში მონაწილეობის მიმღებ გლეხთა პიროვნებისა, ისე ზარალის რაოდენობისა, რომელიც მთლად იმ სასოფლო საზოგადოებათ უნდა გადასდეს, რომლების წევრნიც მოძრავ დაუძრავ ქონების განადგურებასა და გაძარცვაში ერივნენ; 3) შინაგან საქმეთა მინისტრმა განუმარტოს ამ კომისიებს მოქმედების წესი და საგანგებო მოხელენი დაგზავნოს კომისიების ხელმძღვანელებად; 4) მიენდოს მინისტრს შეიმუშაოს იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრების მონაწილეობით და წარმოუდგინოს მინისტრთა კომიტეტის შუამავლობით პროექტი იმის შესახებ, რა წესით უნდა იზღოს მეორე მუხლში აღნიშნული ზარალი და რა წესით შესაძლოა მიეცეს ხაზინიდან დახმარება იმ დაზარალებულთ, რომელთაც არა აქვთ შეძლება აღადგინონ და მოაწყონ თვისი სახლ-კარი და სამეურნეო მოწყობილება. უმართებულესმა სენატმა ჯეროვანი განკარგულება მოახდინოს ამ ბრძანების აღსასრულებლად“.

ნამდვილს მის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარ ხელით აწერია: „ნიკოლოზ“. ცარსკოე სელო, 19 აპრილი 1905 წ.

პეტერბურგი. ბაქოს, განჯისა და ერევნის მაჰმადიანთა დეპუტატები წარუდგნენ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის, მიულოცეს დიდ თანამდებობაზე გამწესება, გადასცეს კავკასიის მაჰმადიანთა თანაგრძნობა და იმედი განაცხადეს, რომ მომავალ რეფორმების დროს მაჰმადიანთ სხვებთან თანაბარი უფლება მიენიჭებათ, როგორც იმპერიის მკვიდრ მცხოვრებთ. სულთან-კრიმ-გირეიმ უპასუხა, არავითარი საბუთი არ არის ვიფიქროთ, რომ მაჰმადიანების უფლება შეზღუდულ იქმნებაო, და აუწყა, რომ ნამესტნიკი უმთავრესად იმის ზრუნვაშია, რომ მხარე დაამშვიდოსო. ამ საქმეში კავკასიის მკვიდრთა ყველა წრეების წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობასო.—ერევნის მაჰმადიანთა დეპუტაცია წარუდგა გრ. ვორონცოვ-დაშკოვს რომელმაც თავაზიანად მიიღო, ყურადღებით მოუსმინა მოხსენება მაჰმადიანთა საჭიროების შესახებ და განუცხადა, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მაჰმადიანნი ერთგული ქვეშევრდომნი არიან და ვეცდები იგინი უფლებით გავათანასწორო რუსეთის სხვა ქვეშევრდომებთანაო.

შანჰაი. შუნკანგიდან იუწყებიან, [illegible] მოჰკლეს ჩინეთის რეზიდენტი თავის ამალით [illegible]გის მიდამოებში.

პარიზი. დუბე ბორდოს წავიდა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გელეიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟეკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სნით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.